პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ხუთშაბათი 17 ივნისი № 141 (16571) ფასი 2 კაპ. 1976

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

დავაჩქაროთ ტემპი, გავაუმჯობესოთ ხარისხი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა. განიხილეს წლევანდელი წლის პირველ ხუთ თვეში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და მომდევნო პერიოდის ამოცანები.

სხდომაზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ხ. მიქელაძემ. შემდეგ გამოვიდნენ რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროს, უწყების, დიდი საწარმოს, პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელები.

რესპუბლიკის მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის ხუთი თვის გეგმა 102,8 პროცენტით შეასრულა, მთლიანი პროდუქციის წარმოებისა კი — 102,6 პროცენტით. სამრეწველო წარმოების მატებამ 5,5 პროცენტი შეადგინა, მაშინ როცა წლიური გეგმა 4,7 პროცენტს ითვალისწინებს. პროდუქციის საშუალო-საღღეღამისო გამოშვების ზრდის ტემპმა აღწევნილი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12,5 პროცენტი შეადგინა. გადაჭრებებით არის შესრულებული ფორმის ნაყოფიერების ზრდის გეგმა, რის შედეგადაც მიღებულია პროდუქციის მთელი მატების 76,4 პროცენტი. მთლიანად ეს გადაჭარბებით შესრულდა ბევრი უმნიშვნელოვანესი სახეობათა პროდუქციის გამოშვების გეგმა.

აღინიშნეს რა ეს მიღწევები, სხდომის მონაწილეებმა ყურადღება მიაპყრეს რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, რეზერვებს, რომლებიც უნდა აამოქმედონ, ათა უთუოდ შეასრულონ წლევანდელი წლის პირველი ნახევრის გეგმა როგორც რაოდენობრივი, ეგ ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ფიდმნიშვნელოვან ამოცანათა ესრულების გზაზე დიდი დაბრკოლებაა ის, რომ ჯერ კიდევ ბევრი სამრეწველო საწარმო ვერ ასრულებს საწარმოო დავალებებს. ანვარ-მაისში პროდუქციის რეალიზაციის გეგმები ვერ შეასრულა 113-მა საწარმომ, ხოლო მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა — 106-მა. მათ სახელმწიფოს დაუკლეს 19,2 მილიონი მანეთის მთლიანი პროდუქცია და რეალიზაციის გეგმას — 25,9 მილიონი მანეთი.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ბევრ სამინისტროში, უწყებებში, გაერთიანებებსა და საწარმოებში ჯერ დღევ არის სრულიად შეუწყნარებელი პრაქტიკა, როცა საწარმოო გეგმებში კორექტირები შეიტანენ და ამცირებენ. ამასთანავე საუსაბუთებლად არის ზედმეტად დატვირთული წლის მეორე სახევრის და განსაკუთრებით წლის ბოლო თვეების დავალებები. ეს სახელმწიფო და საგეგმო დისციპლინის უხეში დარღვევაა, ეს უშლის პროპორციულობას მეურნეობის დარგების განვითარებაში და საწარმოთა მუშაობის ინტენსიფიკაციას.

სხდომაზე განიხილეს ინდუსტრიის ცალკეული დარგების მუშაობის შედეგები.

გადაჭარბებით არის შესრულებული ელექტროენერგიის გამოშვების ხუთი თვის გეგმა. ასრულდება საგეგმო დავალებები ფეთის მრეწველობის დარგში. ნავთობის სადღეღამისო მოპოვება წლის დამდეგიდან თითქმის 5 პროცენტით გაიზარდა, გადაჭარბებით სრულდება ღრმა საბურღი ბურღვის, სამრეწველო წყლების მოცულობის, პროდუქციის რეალიზაციის, ნავთობის მოპოვების ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

ყველა შატმა შეასრულა ქვანახშირის მოპოვების, მთლიანი და რეალიზებული პროდუქციის დავალებები. შავი მეტალურგიის საწარმოებში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 3,1 მილიონ მანეთის პროდუქცია და გამომუშავებულია 3,9 მილიონ მანეთის პროდუქცია; გაუმჯობესდა ამ დარგის საწარმოთა მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

ამასთანავე რეალიზაციის გეგმები ვერ შეასრულეს ფერადი მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის საწარმოებმა. სხდომაზე გააანალიზეს ამ მდგომარეობის მიზეზები.

თუმცა საკავშირო დაქვემდებარების მანქანათაშენებელმა საწარმოებმა საერთოდ გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმები, მაგრამ ამ დარგის 8 საწარმომ დავალებები ვერ შეასრულა.

დახერხილი ხე-ტყისა და პარკეტის წარმოების, ამასთანავე სასაქონლო და სარეალიზაციო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყვეს ხის დამამუშავებელმა საწარმოებმა.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმები ვერ შეასრულეს რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა. ამ დარგის ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი ჯერ კიდევ დიდია, თანაც ყოველთვიურად იზრდება. მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ საგარეჯოს საშენ მასალათა ქარხანა, ჭიათურის საშენ მასალათა კომბინატი, გარდაბნის მუყაორუბეროიდის ქარხანა.

თუმცა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში მთლიანად შესრულდა გეგმა ღირებულებითი მაჩვენებლების მიხედვით, მაგრამ ექვსმა საწარმომ ვერ შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა, ხოლო ხუთმა — მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა. სამეურნეო საქმიანობის განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი შედეგები აქვთ ცხაკაიას ხალიჩის კომბინატს, ფთილისის წინდის ფაბრიკა „კრწანისსა“ და ზუგდიდის ფაიფურის ქარხანას. საქმე ვერ გაუმჯობესდა თბილისის კამეოლ-სარეთავ ფაბრიკაში.

კვების მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმები, მაგრამ მათ შორის ბევრმა საწარმომ ვერ უზრუნველყო ამ 5 თვეში მარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპი.

არცთუ ცუდი მაჩვენებლები აქვთ ხორცისა და რძის მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროთა საწარმოებს, თუმცა ეს უკანასკნელნი კვლავ ვერ ასრულებენ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების გეგმას.

სხდომაზე სერიოზული შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ მნიშვნელოვანი რაოდენობის საწარმოებმა ვერ შეასრულეს შრომის ნაყოფიერების ხუთი თვის დავალებები და, უფრო მეტიც, მარშანდელი წლის 5 თვესთან შედარებით შეამცირეს იგი. აღინიშნა რეზერვები, რომლებიც ჩამორჩენილ საწარმოებს არ გამოუყენებიათ ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის ზრდის განსუხრელი დაჩქარებისათვის.

წლევანდელი წლის დამდეგს უმნიშვნელობამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სსსოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულების ვადებზე. მარშანდელზე რამდენადმე გვიან დაიწყო საგაზაფხულო კულტურების თესვა. საგაზაფხულო თესვაში სხვებზე მეტად ჩამორჩენენ თიანეთის, ცაგერის რაიონები და აფხაზეთის ასს რესპუბლიკა.

დაყოვნდა მრავალწლოვან ნარგავთა გაშენების გეგმის შესრულებაც, თუმცა პირველი ივნისისათვის ორჯერ მეტი ხეხილის ბაღი და ვენახი გაშენებული, ვიდრე მარშან იმავე თარიღისათვის იყო. მარშანდელზე მეტი დაირგო ციტრუსიც, გაშენდა თუთის ხის პლანტაციები, მინდორსაცავი ნარგავები.

მარშანდელზე გაცილებით უკეთ წარმოებს ორგანული სასუქების შეტანა.

ცუდმა ამინდმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ცალკეულ აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებაზეც.

თითქმის ერთი თვის დაგვიანებით დაიწყო ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა. მაგრამ მეჩაიეობის რაიონების მშრომელებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება და ყოველდღიურად აძლიერებენ კრეფის ტემპს. მათ ვალდებულება იკისრეს ივნისის დამლევამდე აღმოფხვრან მაისს ჩამორჩენა და ამის მეოხებით წარმატებით შეასრულონ გეგმა.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობები წარმატებით ასრულებენ მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმას. პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის მაჩვენებლები მარშანდელ დონეზეა. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა მარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა, კიდევ უფრო მოიმატა ცხვრის, თხისა და მოქცეულის სულადობამ. მაგრამ რამდენადმე შემცირდა ღორის სულადობა.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივების საქმიანობა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობას, რომელიც კვლავ არ არის დამაკმაყოფილებელი. ვერ შესრულდა კაპიტალური დაბანდებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები. და ეს მაშინ, როცა რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, სამშენებლო ორგანიზაციებმა და საწარმოებმა გეგმა გაანაწილეს კვარტალებისა და თვეების მიხედვით, წინასწარ შეამცირეს იგი წლის პირველ ნახევარში. კატეგორიულად ითქვა, რომ მშენებლებს არავითარი უფლება არა აქვთ ასე ნელი ტემპით აწარმოონ სამუშაოები. შეუწყნარებელია ჩამორჩენა საცხოვრებელი სახლების, სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოებისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობაში. გულდასმით გაანალიზეს და მკაცრად გააკრიტიკეს ამ დარგში არსებული ნაკლოვანებები.

სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმა წლის დამდეგიდან მთლიანად და გადაჭარბებით სრულდება. ზრდის ტემპმა მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 105,8 პროცენტი შეადგინა. რესპუბლიკის მოსახლეობას მიეყიდეს 16,6 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, და საქონელბრუნვის ძირითადი გეგმა რესპუბლიკაში წლის პირველ ნახევარში ალბათ გადაჭარბებით შესრულდება.

საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობის გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში 100,7 პროცენტით შესრულდა, მაგრამ სოფლად ამ ციფრმა 99,6 პროცენტი შეადგინა. ამ დარგში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც აღინიშნა სხდომაზე.

სხდომაზე გამოსულებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების მდგომარეობას, აღნიშნეს, რომ აუცილებელია მათი ყოველნაირად გაუმჯობესება, ილაპარაკეს ამ საქმეში არსებულ რეზერვებზე.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა გ. ვ. კოლბინმა. (საქინფორმი).



აბაშელ მეცხოველეებთან

საქართველოს მშრომელთა ყურადღების ცენტრში ხკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოებას სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემღუღმი განვითარების შესახებ“.

აბაშის რაიონში ახლახანს მწყობრში ჩადგა ჯიშიანი მოზარდეულის გამოსაყვანი სამეურნეობათშორისო ფერმა. ახლა აქ არის სამასამდე ხბო, რომლებიც სხვადასხვა მეურნეობებმა ჩააბარეს. როცა მოზარდეული ექვსი თვის ასაკს მიაღწევს, მას შეარჩევენ და დაახარისხებენ. საუკეთესო დაიგზავნება მეურნეობებში.

სურათებზე: ქვემოთ — ტყვიარის ჯიშიანი მოზარდეულის გამოსაყვანი სამეურნეობათშორისო ფერმის ნიდა ხელი; ზემოთ — მოზარდეულის შენარჩუნებაში კარგ შედეგებს აღწევს მეხბორე კომკავშირელი ნარგიზა ჯანელიძე.

ბ. მერსაძისას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ჯილდოები თავდადებული შრომისათვის

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენელნი შეიკრიბნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში. მათ შორის იყვნენ ხორცისა და რძის მრეწველობის, თევზის მეურნეობის, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების, სასოფლო მშენებლობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მოწინავე მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული მუშაკები, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, საფინანსო ორგანოების მუშაკები, გეოლოგები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა თბილისელ ინჟინერ, ოქტომბრის რევოლუციის, ხალხთა მეგობრობის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“, მესამე ხარისხის შრომითი დიდების ორდენები, მედლები „შრომითი მამაცობისა“ და „შრომითი წარჩინებისათვის“ დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლ. ხარბედია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ს. დურმიშიძე, სამონტაჟო სამმართველო „პროვენტილაციის“ ოსტატი მ. ხეთაგური. მათ მხურვალე მადლობა უძღვნეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას, აღუთქვეს, რომ ცოდნას, ძალღონესა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა წარმატებით განახორციელონ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები, შესრულონ მეათე ხუთწლედის დავალებები.

პ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ, აღნიშნა, რომ მთავრობის ჯილდოები მათ მიენიჭათ ნაყოფიერი, თავდადებული შრომისათვის, ახალი დიდი წარმატებები უსურვა მეათე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

ინიციატორთა წარმატებანი

ტყიბული. (საკ. კორ.). ლენინის სახელობის შახტის მესამე საექსპლოატაციო უბნის კომუნისტური შრომის ის ბრიგადა, რომელსაც ცნობილი ნოვატორი ო. ბერგაძე უდგას სათავეში, მეათე ხუთწლედის დაავალებათა ოთხ წელიწადში შესრულებისათვის გიჯაღებულია სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად გამოვიდა. იგი სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე განუხრელად აღიდებს ქვანახშირის მონგრევის ტემპს.

მარტო მეორე კვარტალის პირველ ორ თვეში ინიციატორებმა ოთხი ათას ტონაზე მეტი საკოქსე ქვანახშირი ამოიღეს და ნორმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს. უკვე ბრიგადის ანგარიშზეა ორი ეშელონი ზეგეგმითი „შავი ოქრო“ და 17 კუბური მეტრი ხის სამაგრი მასალა. ვალდებულებით ბრიგადის თვითეულ წევრს ცვლაში საშუალოდ 3 ტონა ქვანახშირი უნდა მოენგრიო, ფაქტიურად 4 ტონა ქვანახშირია მონგრეული.

ინიციატორთა მიწისქვეშა შტურმი გრძელდება.

იგზავნება საზღვარგარეთ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). აქაური წარმოების ფერომანგანუმი, სილიკომანგანუმი და ელექტროლიზური მანგანუმი დირსეულად დგას საერთაშორისო სტანდარტების დონეზე. ამ მარკის ლითონებზე ძალიან დიდი მოთხოვნაა საზღვარგარეთის ქვეყნებში. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ქვეყნის მსგავს საწარმოებს შორის ყველაზე დიდი ექსპორტიორია.

ზესტაფონური მარკის შენადნობები ახლა მსოფლიოს 19 ქვეყანაში ფუნავნება. მეათე ხუთწლედის პროდუქცია უკვე გაგზავნა ინგლისს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, შვეიცარიას, ავსტრიას, თურქეთს, პოლონეთს, ჩეხოსლოვაკიას, რუმინეთს და სხვა ქვეყნებს.

ქარხანაში ახლა მიმდინარეობს ახალი ტიპის კომპლექსური შენადნობის ათვისება ერთ-ერთი ქიმიური ელემენტით. მას ზემტკიცე მარკის ფოლადის მისაღებად გამოიყენებენ. ეს ახალი პროდუქცია კიდევ უფრო გააფართოებს საწარმოს ექსპორტის ვეოგრაფიას.

ო. ნიჟარაძე.

გადაჭარბებით გაანაღდეს

ზუგდიდი. (საკ. კორ.). მეათე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის წარმატებით იბრძვის რესპუბლიკური სახელმწიფო სამრეწველო გაერთიანება „სამტრესტის“ ზუგდიდის ღვინის კომბინატის კოლექტივი, რომელმაც გადაჭარბებით გაანაღდა როგორც პროდუქციის გამოშვების, ისე მისი რეალიზაციის ხუთი თვის გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 114 ათასი დეკალიტრის ნაცვლად გამოშვებულია 119 ათასი დეკალიტრი მაღალხარისხოვანი სუფრის ღვინო. ამავე პერიოდში რეალიზებულია 1 მილიონ 174 ათასი მანეთის პროდუქცია.

აღსანიშნავია, რომ წლეულს კომბინატის კოლექტივს ვალდებულებით 80 ათასი მანეთის ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია უნდა გამოეშვა, სინამდვილეში კი მეოვნეებმა პირობა ხუთ თვეში შეასრულეს.

ნახევარი წლის გეგმა შესრულდა

მარნეული. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ საშენ მასალათა სამინისტროს მარნეულის საკარიერო მეურნეობის სამმართველომ, რომელიც ჩაბმულია სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, 7 ივნისისათვის შეასრულა სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის დავალება.

კარიერის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ივნისის დარჩენილ დღეებში წლის მეშვიდე თვის გეგმის შესრულებაც უზრუნველყოს.

ეს ამბავი რედაქციას საკარიერო მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ნ. ბოჭორიძემ, პარტორგანიზაციის მდივანმა რ. ისმაილოვმა და პროფკავშირის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ვ. თევდორაძემ აცნობეს.

„პრავდის“ ფურცლებზე

ზღვისპირა ალაზანდის ქალა

დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ განვლილი თითქმის სამოცი წლის მანძილზე სოციალიზმის ერთ-ერთი მთავარი ისტორიული მონაპოვარია, აღინიშნა სკკპ XXV ყრილობაზე, საბჭოური ცხოვრების წესი. მისთვის დამახასიათებელია ნამდვილი კოლექტივიზმის სულისკვეთება, ადამიანთა ურთიერთობის მაღალი კულტურა, ზნეობრივი სიჯანსაღე, რომლის გამო ჩვენ ძლიერი და მტკიცე ვართ. საბჭოთა ადამიანების ეს თვისებები დღენიადაგ ვითარდება და მტკიცდება, ვლინდება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ჩვენი საზოგადოების წინსვლის კვალობაზე კომუნისტური მორალის პრინციპები და ნორმები სულ უფრო სრულად ავლენენ თავიანთ შემოქმედებითს, აღმშენებლობითს არსს.

ზნეობრივ აღზრდაში, — აღინიშნავს გაზეთი, — გადამწყვეტი როლი მიეკუთვნება პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანიზაციების მიზანმიმართულ იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას, აგრეთვე სკოლას, ოჯახსა და განსაკუთრებით შრომითს კოლექტივს. ადამიანის საუკეთესო თვისებები კლინდება ერომანეთის პატივსაცემისა და ნდობის ვითარებაში, როცა ეს შერწყმულია მკაცრ პასუხისმგებლობასთან, მაღალ მომთხოვნელობასთან. სწორედ ასეთ ატმოსფეროში უფრო ადვილად ყალიბდება საყოველთაო შეუწყნარებლობა ჩვენში ჯერ კიდევ არსებული ისეთი უარყოფითი მოვლენებისადმი, როგორიც არის მომხვეჭელობა, კერძომესაკუთრული ტენდენციები, ხულიგნობა, ბიუროკრატიზმი და გულგრილობა, მეშჩანური, წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის რეციდივები, რომლებიც ეწინააღმდეგება სოციალისტური ცხოვრების წესის არსს. წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თვითეული მშრომელის აქტიურ ზნეობრივ პოზიციას, ამ გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა გამოვიყენოთ კოლექტივის საყურადღებო აზრიც, პრესის კრიტიკული სიტყვაც, დარწმუნების მეთოდებიც, ეკონომიური სტიმულებიც, საბჭოთა კანონის ძალაც. კომუნისტური ზნეობის განმტკიცებასა და დახვეწაში ავანგარდული როლი განეკუთვნებათ კომუნისტებს.

ახლახან კომპოზიტორმა გია ყანჩელმა შექმნა მეოთხე სიმფონია, რომელიც მიქელანჯელოს ხსოვნას მიუძღვნა. ამიტომაც ეს ნაწარმოები წარდგენილია სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად. ამის გამო გაზეთი აქვეყნებს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პ. ხუჭუას წერილს — „სიკეთის რწმენით“.

რუბრიკით „მეცნიერება პორიზონტებს აფართოებს“ აქვე დაბეჭდილია აკადემიკოს ნ. დუბინინის სტატია — „ბენეტიკა და მოსავალი“.

ამავე ნომერში მკითხველი წაიკითხავს მ. ოდინეცისა და ი. შატუნოვსკის ფელეტონს — „ხელოვნმნილი ნანგრევები“, აგრეთვე რომიდან დადმოცემული ნ. პროფოგინის კორესპონდენციას — „სურათის ავტორია ბრიულოვი“ (რუბრიკა — „ძიება, აღმოჩენა“).

ПРАВДА

საკადესის ცნობა

მიფრინავს რვა თანამგზავრი

1976 წლის 15 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-825“, „კოსმოს-826“, „კოსმოს-827“, „კოსმოს-828“, „კოსმოს-829“, „კოსმოს-830“, „კოსმოს-831“, „კოსმოს-832“. რვავე თანამგზავრი ორბიტაზე ერთმანეთისგან ერთ-ერთ ბიოლოგიურ ექსპერიმენტს ატარებდა. ეს ექსპერიმენტი ეხება ადამიანის ორგანიზმზე ხანგრძლივ კოსმოსური სივრცის ფაქტორების ზეგავლენას.

ორბიტებით, რომლითაც გაუშვეს, ეს თანამგზავრები ერთმანეთისგან ერთ-ერთ ბულს უახლოვდებიან:

მიმოქცევის პერიოდი — 115,5 წუთი;

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 1530 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 1450 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა — 74 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე არის ორბიტის ელემენტების ზუსტად გასაზომი რადიოსისტემები, რადიოტელემეტრიული სისტემები, რომლებიც დედამიწაზე გადმოსცემენ მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრებზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს.

ურყევი მისწრაფება მშვიდობისადმი

საქართველოს მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ერთსულოვნად და განუყოფლად უჭერენ მხარს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას. 16 ივნისს რესპუბლიკაში დაიწყო ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის ხელმოწერა. საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში იმართება ხალხმრავალი მიტინგები, რომლებზეც სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სწორსა და საგარეო პოლიტიკას, აცხადებენ, რომ მზად არიან განამტკიცონ ივი მაღალი შრომისნაყოფიერებით სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მეათე ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად.

მხურვალე მხარდაჭერა

თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში შრომობს 123 დიდი სამამულო ომის ვეტერანი, ამ კოლექტივის 43 წევრი არ დაბრუნებულა ფრონტიდან, სიცოცხლე შესწირა სამშობლოს თავისუფლებას, ღირსებასა და დამოუკიდებლობას. აქ, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, კარგად იციან მშვიდობის ფასი და გადაწყვეტილი აქვთ არ დაზოგონ ძალ-ღონე და ენერგია მისი შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

ეს განცხადეს ხალხმრავალი მიტინგის მონაწილეებმა, რომელიც აქ გაიმართა 16 ივნისს.

— ჩემს ბევრ თანამემამულესთან ერთად, — თქვა დიდი სამამულო ომის მონაწილემ სარემონტო სახელოსნოების უფროსმა ხ. ფანცულაიამ, — ომის წლებში სხვადასხვა ფრონტებზე ვყოფილვარ. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ძალიან დაგვიჯდა მშვიდობის მოპოვება. ყველანი მადლობას ვუხდით კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ინფორმაციია გააკეთა საწარმოს პარტკომის მდივანმა თ. აბესაძემ.

— ბევრმა ჩვენგანმა გამოსცადა ომის სამნეულებანი, — თქვა გამოსვლისას მრთველმა ბრიგადის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. ქემაშვილმა — თვითეული ჩვენგანი თვალნათლივ ხედავს, რომ საბჭოთა კავშირის ყველა სოციალისტური ქვეყნის მიზანმიმართული საგარეო პოლიტიკის წყალობით, სკკპ XXIV ყრილობაზე შემუშავებული მშვიდობის პროგრამის წარმატებული განხორციელების მეოხებით უკანასკნელი წლების მანძილზე ვრსებითი გარდატეხა დაისახა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ. ჩვენ უნდა განვამტკიცოთ იგი მალალნაყოფიერი შრომით, გამოვუშვათ ლაზთათანი, ხარისხოვანი პროდუქცია.

მიტინგზე გამოვიდნენ გადამზვევი ტ. ლორთქიფანიძე, კონტროლიორი მ. დოღუზაშვილი, კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე გ. ჯაოშვილი და სხვები, რომლებმაც ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კამპანიას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს მშვიდობის მსოფლიოს საბჭოს მოწოდებაზე ხელმოწერის შესაგროვებლად.

მიტინგის მონაწილეებმა პირველმა მოაწერეს ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას.

(საქინფორმი).

მოწმენდილი ცისათვის

გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის ახალი მოწოდების ხელმოწერის შეგროვებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა თბილისის კამეოლ-საუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“.



სურათზე: თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშა-მოსამსახურენი ხელს აწერენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სტოკჰოლმის ახალ მოწოდებას.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

სოციალისტური შეჯიბრების დღიური

ივნისი

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების საპატიო სოციალისტური შეჯიბრება

ჩვენი დევიზი: ეკონომია, მომჭირნეობა, ყაირათიანობა!

თვითეული რუბლი — სამეურნეო კონტროლზე!

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

სვერდლოვსკელთა მაგალითით

სკკპ XXV ყრილობამ მეათე ხუთწლედში საწარმოთა კოლექტივების წინაშე დასვა ამოცანა აამაღლონ ეფექტურობა და გაზარდონ ხარისხობრივი მაჩვენებლები. ასევე უპირველეს და გადაუდებელ საქმედ ითვლება მომჭირნეობა, ყაირათიანობა, ეკონომია

ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების მხრივ კარგი გამოცდილება დააგროვეს სვერდლოვსკის ოლქის პარტიულმა ორგანიზაციებმა და სამრეწველო კოლექტივებმა. ამ გამოცდილებას ახლა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა სამრეწველო საწარმოში გაუჩნდნენ მიმდევრები.

სვერდლოვსკელთა მაგალითით მუშაობს ჩვენი რესპუბლიკის მრავალი ქარხანა, ფაბრიკა, შახტი, კომბინატი და სხვა საწარმო.

რა არის სვერდლოვსკელთა გამოცდილების არსი? სვერდლოვსკელებმა პირველებმა წამოაყენეს დევიზი მინიმალური კაპიტალური დანახარჯებით არსებულ სიმძლავრეთა რეკონსტრუქციის გზით მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების შესახებ. ცოტა ხნის შემდეგ კი მათ ერთგვარი სიახლე შეიტანეს თავიანთ წამოწყებაში და წინა ინიციატივის გასავითარებლად შეიმუშავეს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკთა და მოსამსახურეთა ეკონომიის გეგმა-ვალდებულებები და გახსნეს ეკონომიის პირადი ანგარიშები.

სვერდლოვსკელთა გამოცდილების შესახებ ფართოდ იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმმა, რომლის გადაწყვეტილებით ეს თაოსნობა რესპუბლიკის ბევრი მუშის, ინჟინერ-ტექნიკოსის კუთვნილებაც გახდა.

ამჟამად საწარმოთა კოლექტივებში მასობრივად არის გაჩაღებული სვერდლოვსკელი კოლეგების გამოცდილების დანერგვისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. ბევრმა საწარმომ უკვე საინტერესო ღონისძიებები განახორციელა ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, ეკონომიის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის დასანერგავად.

ამ გვერდზე გამოქვეყნებული წერილების ავტორები მოგვითხრობენ ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში სვერდლოვსკელთა გამოცდილების დანერგვისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების და მისი ეკონომიური ეფექტიანობის შესახებ, აგრეთვე მომავლის სერიოზულ ამოცანებზე.

ხარჯი—ნაკლები, ხარისხი—მაღალი

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა ხარისხოვანი ფოლადის წარმოებისათვის საჭირო კომპლექსური დამჟანგველების ერთ-ერთი დიდი მიმწოდებელია. მარტო ის ფაქტი, რომ აქაური მარკის შენადნობები ჩვენი ქვეყნის ოც მეტალურგიულ ქარხანაში და უცხოეთის ცხრამეტ ქვეყანაში იგზავნება, თავისთავად მეტყველებს საწარმოს მასშტაბურობაზე. ქარხნის კოლექტივი თავის საქმიანობაში მარჯვედ იყენებს სვერდლოვსკელთა გამოცდილებას მინიმალური კაპიტალური დანახარჯებით არსებულ სიმძლავრეთა რეკონსტრუქციის გზით მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების სქემაში.

მეათე ხუთწლედი ფოლადის წარმოების მკვეთრ გადიდებას ითვალისწინებს. ბუნებრივია, შესაბამისად ფეროშენადნობების წარმოებაც პროპორციულად უნდა გაიზარდოს. ვარაუდობენ, რომ ქართული მარკის შენადნობების გამოშვება 1980 წლისათვის 1,5-ჯერ გაადიდონ და კიდევ უფრო აამაღლონ მისი ხარისხი.

პროდუქციის წარმოების ზრდის დინამიკა ხუთწლედში გათვალისწინებულია ძირითადად მოქმედი სიმძლავრეების რეკონსტრუქციის, ტექნიკური სიახლეების დანერგვის, ტექნოლოგიური პროცესების დახვეწის გზით მოხდეს.

ქარხნის მეოთხე საამქროში უკვე დამთავრდა ხუთი სადნობი ღუმელის რეკონსტრუქცია. თვითეული მათგანის სიმძლავრე 16,5 მეგავატიდან 22,5 მეგავატამდე გადიდდა. ეს ნიშნავს, რომ რეკონსტრუირებული ღუმელები ახლა დღეღამეში 15-20 ტონით მეტ ლითონს იძლევიან. ხუთწლედის ბოლოამდე გათვალისწინებულია დანარჩენი ღუმელების რეკონსტრუქცია, გარდა, ამისა საექსპლოატაციოდ გადასცემენ კიდევ ორ ზემძლავრ 75-მეგავატიან ახალ ღუმელს, რომელთა მშენებლობა გაისაღ დაიწყება.

ბევრი ღონისძიება ხორციელდება ამავე საამქროში ჯიბის მომზადებისა და დოზირების პრობლემის გადასაჭრელად. ახლა უკვე მიმდინარეობს ჯიბის მადოზირებელი მოწყობილობის დამონტაჟება, რაც საბოლოოდ გადაჭრის უმაღლესი მარკის სილიკომანგანუმის მიღების საკითხს.

მოქმედ სიმძლავრეთა მოდერნიზაციის კომპლექსური სამუშაოები წარმოებს პირველ სადნობ საამქროშიც. აქ უპირველესი საკითხია ჯიბის დოზირების ავტომატური სისტემის ამოქმედება. ეს პრინციპულად რთული ტექნიკური პრობლემა უკვე გადაჭრილია, რამაც უზრუნველყო ლითონის გამოშვების გადიდება და მისი ხარისხობრივი გაუმჯობესება.

ქარხნის „ვაწრო ადგილია“ ელექტროდენების მასის დამზადების ტექნოლოგიის სრულყოფა. ამიტომაც ღუმელებში არცთუ იშვიათად ხდება ელექტროდების ჩატეხვა, რაც ცხელი ოპერაციის გაჩერების, და საბოლო ანგარიშით, პროდუქციის გამოშვების შემცირების მიზეზია. ამ პრობლემის უსწრაფესი გადაჭრისათვის ფართო მასშტაბის სამუშაოებს აწარმოებენ მეტალურგები და მეცნიერები. პირველი დამაიმედებელი შედეგები მიღებულია და უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ პრობლემის გადაჭრის შემდეგ წარმოების სამსახურში ჩადგება ახალი რეზერვები.

ფეროშენადნობთა ქარხანას სამართლიანად უწოდებენ საკავშირო ქარხანა-ლაბორატორიას. აქ შეიქმნა ათობით ახალი დამჟანგველების ტექნოლოგია, რომელიც ქვეყნის სხვა ქარხნებში დაინერგა. ახლო მომავალში ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტი გაკეთდება. ამ მიზნის ემსახურება ახალი საბორკეტო დანადგარი. მისი მშენებობით მოხდება წვრილფრაქციული მანგანუმის მადნის დაბრიკეტება, ამაღლდება მიღებული ლითონის ხარისხი, გაიზრდება პროდუქციის წარმოება.

ბევრი ეფექტიანი და ტექნიკურ-ეკონომიურად გამართლებული ღონისძიება ხორციელდება ქარხანაში სვერდლოვსკელთა მაგალითით. მიზანი მიღწეულია მოქმედ სიმძლავრეთა მოდერნიზაციის გზით, საწარმოო ფართობის გაუდიდებლად მკვეთრად გაზიზრდა პროდუქციის წარმოება. უფრო დიდი მასშტაბის სამუშაოები მომდევნო წლებში შესრულდება, და ლითონის გამოშვების 1,5-ჯერ გადიდების პროგრამა, რომელსაც ხუთწლიანი გეგმით ეითვალისწინებთ, რეალობად იქცევა.

გ. ჟილავშვილი,

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეოთხე საამქროს ცვლის უფროსი.

ტექნიკური განახლების გზით

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივს ლიდი სარგებლობა მოუტანა მინიმალური კაპიტალური დანახარჯებით არსებულ სიმძლავრეთა რეკონსტრუქციის გზით მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების შესახებ სვერდლოვსკელთა გამოცდილების დანერგვამ.

ბევრი რამ გაკეთდა ფაბრიკაში. მწყობრში ჩადგა ახალი სიმძლავრეები, შეიცვალა ქვანახშირის გამდიდრების ტექნოლოგიური ციკლის მძიმე-ლელები დანადგარები. ასეთი ღონისძიების გატარებამ მეათე ხუთწლედის პირველ დღეებშივე კარგი ნაყოფი გამოიღო. მოვსპეთ ფაბრიკის მთელი კოლექტივისათვის უსიამოვნო მესამე — ღამის ცვლაში მუშაობა. ახლა გამამდიდრებლებზე მხოლოდ პირველ და მეორე ცვლაში მუშაობენ. საყურადღებო ის არის, რომ მუშაობის ორცვლიანმა რეჟიმმა არა თუ შეაფერხა, არამედ პირიქით — გაადიდა პროდუქციის გამოშვება, თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება 26 პროცენტით გაიზარდა.

ფაბრიკის ტექნიკური განახლების პროცესი კვლავ გრძელდება. ახლახან წარმოებაში დავნერგეთ ქვანახშირის გამამდიდრებელი ახალი გაუმჯობესებული ტიპის ჰიდროციკლონის დანადგარი, რამაც აამაღლა ეფექტურობა, გაზარდა პროდუქციის გამოშვება. ყოველივე ეს საწარმოო ფართის გაუდიდებლად მოხდა. რეკონსტრუქციის შედეგად ფაბრიკის საწარმოო ფართი მნიშვნელოვნად შემცირდა. ზედმეტი, უსარგებლო დანადგარების დემონტაჟმა საამქრო განტვირთა და სინათლიანი გახადა.

ამჟამად ფაბრიკაში მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები. გათვალისწინებულია ტყვარჩელის ქვანახშირის მძიმე-საშუალო გამდიდრებაზე გადაყვანა, რაც კიდევ უფრო აამაღლებს წარმოების ეფექტურობას, გაუმჯობესებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

გ. გეგეჭკორი,

ტყვარჩელის ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის მთავარი ინჟინერი.

ბრიგადის წვლილი

ჭიათურელმა მეშახტეებმა, როგორც ყოველთვის, აჩვენეს მხარდაჭერა სვერდლოვსკელთა პატრიოტულ თაოსნობას და გააჩაღეს ბრძოლა ეკონომიის პირადი ანგარიშის დასანერგავად. ეს მოძრაობა განსაკუთრებით განვითარდა ლენინის სახელობის შახტის მოწინავე მეექვსე საექსპლოატაციო უბანში. აქ მიმდინარე წლის პირველი დღეებიდანვე მეშახტეთა ბრიგადებმა ეკონომიის საკუთარი ანგარიში გახსნეს და გადაწყვიტეს მტკიცე კონტროლი დაწესებინათ ხე-ტყის მასალისა და ელექტროენერგიის ხარჯვისადმი.

შეჯიბრება იმთავითვე კარგად წარმართა და შედეგიანიც გამოდგა. ამ დღეებში საგეგმო გაწყოფილებამ შეაჯამა წლეულდელი ხუთი თვის მუშაობის შედეგები, გამოირკვა, რომ მეექვსე უბნელებმა დაზოგეს 20400 მანეთი, გეგმის გადამეტებით ამოიღეს ათ ეშელონზე მეტი საკოქსი ქვანახშირი, რითაც სახელმწიფო დაეხალება 15 პროცენტის გადაჭარბებით შესრულეს.

ამ შრომითს წარმატებაში თითისი წვლილი შეიტანა ჩვენმა კომუნისტური შრომის ბრიგადამ. მთელი ეკონომიის მესამედზე მეტი ჩვენს ბრიგადაზე მოდის.

რით მივაღწიეთ ასეთ წარმატებას? უწინარეს ყოვლისა მოძიჭნავე პროფესიების დაუფლებით. ბრიგადის თითქმის ყველა წევრი 2-3 მომიჯნავე პროფესიას ფლობს. პირადად მე დავეუფლე მნგრეველის, მებეგის, გამყვანის სპეციალობებს. შემძლია შევასრულო ზეინკლის მოვალეობაც, შეეკეთო სანგრევსა და სამთო ჰორიზონტებზე დამონტაჟებული სამთო მანქანა-იარაღები. მაღალი მაჩვენებლების მიღწევის ერთ-ერთი პირობაა ბრიგადის თვითეული წევრის მაღალი პასუხისმგებლობა, მონდომება და ურთიერთდახმარება.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ძვირადღირებული ლითონის სამაგრის ხელმეორედ გამოყენებას. ამით ვზოგავთ დიდძალ ლითონს და მისი ტრანსპორტირების ხარჯებს.

ახლა მეექვსე უბნის კოლექტივი და ჩვენი კომუნისტური შრომის ბრიგადა გადიდებული ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის ვიღებენ. დღეჩადაგ ვცდილობთ შევამცეროთ ტონა ქვანახშირის მოსაპოვებლად მასალებისა და ელექტროენერგიის ხარჯვა, რითა წლის დამლევამდე სულ ცოტა 40 ათასი მანეთი დავზოგოთ.

მ. ვარდოსანიძე,

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მეექვსე უბნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.



მოწინავე ხაზზე

რუსთაველი მეცემენტეები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ტექნიკურ სიახლეთა დანერგვის მოწინავე ხაზზე დგანან. მათ პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმას 4.319 ტონით გადააჭარბეს.

წარმატებათა მოპოვება იმის შედეგიც არის, რომ აქ კარგად ითვისეს სვერდლოვსკელთა გამოცდილება პირადი ანგარიშიანობის შემოღების თაობაზე. ამ საკითხს წარმოებაში არა ერთი და ორი ღონისძიებ მიეძღვნა. შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც ყოველმხრივ დახმარებას უწევს პირადი ანგარიშით მომუშავე ბრიგადებს, ცვლებს, ცალკეულ ადამიანებს.

ქარხანა დღითიდღე აუმჯობესებს ცემენტის მარკიანობას. აქ განსაკუთრებით საგანგებო ზომებს იღებენ ენგურჰესის მშენებლობისათვის გასაგზავნი სპეციალური ცემენტის მარკიანობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე შრომის ნაყოფიერებისა და საერთო ეფექტიანობის გაზრდისათვის. ტექნიკურ ძიებას, ეკონომიის პირად ანგარიშიანობას გარკვეული შედეგი მოსდევს.

ხუთათზე: გამოწვევა საამქროს № 3 ბრიგადის წევრები (მარცხნიდან): ზ. მუსერიძე, თ. შაოვი, ჯ. ბერიძე (ბრიგადირი) და ა. ზანგალაძე, რომლებიც სვერდლოვსკელთა მაგალითით მუშაობენ.

ს. ბოგოხისს ფოტო.

ეკონომია, მომჭირნეობა, ყაირათიანობა!

შემოქმედებითი ძიების ძალა

პირადი შემოქმედებითი გეგმები, რომლებიც პირველად სვერდლოვსკელმა მშრომელებმა გამოიყენეს თავიანთ საქმიანობაში, ხოლო შემდეგ ამ თაოსნობას ჩვენი ქვეყნის სხვა საწარმოებშიც ფართოდ დაუჭირეს მხარი, უდავოდ ეფექტის მოჰცემი ღონისძიებაა. სიმარტივე უნდა ითქვას, რომ ადრე ჩვენთან შრომითი კოლექტივის წევრები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული ბრიგადის, საამქროს, თვით ქარხნის ეკონომიური მაჩვენებლებით. ახლა კი სულ სხვა მდგომარეობაა. თვითეულ კაპიკსა თუ მანეთს მტკიცე კონტროლი ეწევა.

მუშებმა, ეკონომიის პირადი ანგარიშებით რომ აიაან დაინტერესებული, იციან თუ საიდან, რომელ უბანზე ან ობიექტზე შეიძლება გაკეთდეს ეკონომია, რა ეკონომიურ ეფექტს მისცემს წარმოებას ესა თუ ის ტექნიკური სიახლე.

ეკონომიის პირად შემოქმედებითს გეგმებს ხორცი რომ შეეასხათ და პრაქტიკულად ცხოვრებაში განეხორციელებინა სარეკონსტრუქციო საუშაოები. ღღის წესრიგში დაისვა ახალი დანადგარების დამონტაჟებისა და მათი რაც შეიძლება მოკლე დროში ამოქმედების საკითხი. პირველი ეერიში კატარღების სამღებრო საამქროზე მივიტანეთ. საქმე ის არის, რომ ამ საამქროს მშენებლობის დაჩქარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პროდუქციის გამოშვების გადიდებაში. ქარხანაში შეიქმნა 30-კაციანი დამკვრელური ბრიგადა, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ გამოცდილი და საქმით დაინტერესებული მშენებლები: დ. პატარაია, ი. ზოიძე და რ. ჭახნაკია. სამშენებლო და სარეკონსტრუქციო საუშაო ერთობ რთული იყო, მაგრამ საქმის სიყვარულმა, მონდომებამ, შემართებამ თავისი გაიტანა.

ბევრ მშენებელს დაებადა იდეა შეესრულებინა არა მარტო ძირითადი სამუშაო, არამედ ხელი მოეკიდა მომიჯნავე პროფესიისათვის. მაგალითად, ზეინკალი გ. გუჯაბიძე ძირითადად მემონტაჟედ მუშაობდა, მაგრამ ამ საუშაოდან თავისუფალ დროს იგი უქმად რიდი ატარებდა, არამედ ხელი მოკიდა შემდუღებლობას. გ. გუჯაბიძის ინიციატივას მხარი დაუჭირა მემონტაჟე ა. დუდინმა. თაოსან მუშებს არც სხვა მშენებლები ჩამორჩენენ.

მომიჯნავე პროფესიების ცოდნამ ნაყოფი გამოიღო. შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგი, გაძლიერდა ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის ბრძოლა, ამაღლდა შრომისნაყოფიერება.

სვერდლოვსკელთა თაოსნობამ ფრთები შეისხა, კატარღების სამღებრო საამქრო ვადაზე ოთხი თვით ადრე ამოქმედდა და სრული სიმძლავრით დაიწყო პროდუქციის გამოშვება.

ვ. ჯოჯუა,

ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე.

ჩვენი ბრიგადის წვლილი

ტყიბულელმა მეშახტეებმა, როგორც ყოველთვის, აჩვენეს მხარდაჭერა სვერდლოვსკელთა პატრიოტულ თაოსნობას და გააჩაღეს ბრძოლა ეკონომიის პირადი ანგარიშის დასანერგავად. ეს მოძრაობა განსაკუთრებით განვითარდა ლენინის სახელობის შახტის მოწინავე მეექვსე საექსპლოატაციო უბანში. აქ მიმდინარე წლის პირველი დღეებიდანვე მეშახტეთა ბრიგადებმა ეკონომიის საკუთარი ანგარიში გახსნეს და გადაწყვიტეს მტკიცე კონტროლი დაწესებინათ ხე-ტყის მასალისა და ელექტროენერგიის ხარჯვისადმი.

შეჯიბრება იმთავითვე კარგად წარმართა და შედეგიანიც გამოდგა. ამ დღეებში საგეგმო გაწყოფილებამ შეაჯამა წლეულდელი ხუთი თვის მუშაობის შედეგები, გამოირკვა, რომ მეექვსე უბნელებმა დაზოგეს 20400 მანეთი, გეგმის გადამეტებით ამოიღეს ათ ეშელონზე მეტი საკოქსი ქვანახშირი, რითაც სახელმწიფო დაეხალება 15 პროცენტის გადაჭარბებით შესრულეს.

ამ შრომითს წარმატებაში თითისი წვლილი შეიტანა ჩვენმა კომუნისტური შრომის ბრიგადამ. მთელი ეკონომიის მესამედზე მეტი ჩვენს ბრიგადაზე მოდის.

რით მივაღწიეთ ასეთ წარმატებას? უწინარეს ყოვლისა მოძიჭნავე პროფესიების დაუფლებით. ბრიგადის თითქმის ყველა წევრი 2-3 მომიჯნავე პროფესიას ფლობს. პირადად მე დავეუფლე მნგრეველის, მებეგის, გამყვანის სპეციალობებს. შემძლია შევასრულო ზეინკლის მოვალეობაც, შეეკეთო სანგრევსა და სამთო ჰორიზონტებზე დამონტაჟებული სამთო მანქანა-იარაღები. მაღალი მაჩვენებლების მიღწევის ერთ-ერთი პირობაა ბრიგადის თვითეული წევრის მაღალი პასუხისმგებლობა, მონდომება და ურთიერთდახმარება.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ძვირადღირებული ლითონის სამაგრის ხელმეორედ გამოყენებას. ამით ვზოგავთ დიდძალ ლითონს და მისი ტრანსპორტირების ხარჯებს.

ახლა მეექვსე უბნის კოლექტივი და ჩვენი კომუნისტური შრომის ბრიგადა გადიდებული ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის ვიღებენ. დღეჩადაგ ვცდილობთ შევამცეროთ ტონა ქვანახშირის მოსაპოვებლად მასალებისა და ელექტროენერგიის ხარჯვა, რითა წლის დამლევამდე სულ ცოტა 40 ათასი მანეთი დავზოგოთ.

მ. ვარდოსანიძე,

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის მეექვსე უბნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ეგოპარეთა გამოცდილება დაგვეხმარა

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც წლეულს მარტში გაიმართა, ითქვა, რომ სვერდლოვსკის პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი ხალისით გაგვიზიარა თავისი გამოცდილება, თუ როგორ გაგვეზარდა პროდუქციის გამოშვება მინიმალური კაპიტალური დანანდებებით, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის გზით. მეგობართა მითითება და მუშაობის გამოცდილება საუკეთესო გაკვეთილი გახდა ბათუმელი გემთმშენებლებისათვის.

ქარხნის კოლექტივმა აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობა და გადაწყვეტა სახელმწიფო გეგმის შეუმცირებლად განეხორციელებინა სარეკონსტრუქციო საუშაოები. ღღის წესრიგში დაისვა ახალი დანადგარების დამონტაჟებისა და მათი რაც შეიძლება მოკლე დროში ამოქმედების საკითხი. პირველი ეერიში კატარღების სამღებრო საამქროზე მივიტანეთ. საქმე ის არის, რომ ამ საამქროს მშენებლობის დაჩქარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პროდუქციის გამოშვების გადიდებაში. ქარხანაში შეიქმნა 30-კაციანი დამკვრელური ბრიგადა, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ გამოცდილი და საქმით დაინტერესებული მშენებლები: დ. პატარაია, ი. ზოიძე და სარეკონსტრუქციო საუშაო ერთობ რთული იყო, მაგრამ საქმის სიყვარულმა, მონდომებამ, შემართებამ თავისი გაიტანა.

ბევრ მშენებელს დაებადა იდეა შეესრულებინა არა მარტო ძირითადი სამუშაო, არამედ ხელი მოეკიდა მომიჯნავე პროფესიისათვის. მაგალითად, ზეინკალი გ. გუჯაბიძე ძირითადად მემონტაჟედ მუშაობდა, მაგრამ ამ საუშაოდან თავისუფალ დროს იგი უქმად რიდი ატარებდა, არამედ ხელი მოკიდა შემდუღებლობას. გ. გუჯაბიძის ინიციატივას მხარი დაუჭირა მემონტაჟე ა. დუდინმა. თაოსან მუშებს არც სხვა მშენებლები ჩამორჩენენ.

მომიჯნავე პროფესიების ცოდნამ ნაყოფი გამოიღო. შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგი, გაძლიერდა ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის ბრძოლა, ამაღლდა შრომისნაყოფიერება.

სვერდლოვსკელთა თაოსნობამ ფრთები შეისხა, კატარღების სამღებრო საამქრო ვადაზე ოთხი თვით ადრე ამოქმედდა და სრული სიმძლავრით დაიწყო პროდუქციის გამოშვება.

ვ. ჯოჯუა,

ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის მთავარი ინჟინრის მოადგილე.

ნოვატორი და წარმოება

ინჟინრულ საქმეს — მუშური მხარდაჭერა!

ქარხნის რაციონალიზატორთა ვალდებულება

ბევრ ხუთწლიან გეგმას რომ გავეცანი და ერთხელ კიდევ ჩავიხედე სვერდლოვსკელთა გამოცდილების საიდუმლოებაში, ახალი იდეა დამებადა: რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საქმიანობაში მარტო თვითეული ინჟინერ-ტექნიკოსი კი არ ჩაებათ, არამედ მუშებიც.

რით დავიწყეთ ამ დიდი მიზნის განხორციელება? მოვაწყეთ რამდენიმე შეხვედრა წარმოების ნოვატორებთან, მუშა-რაციონალიზატორებთან, მუშა-რაციონალიზატორებთან, ავუხსენით მათ, თუ რა დიდი ნაყოფის მოტანა შეუძლია პირადი შემოქმედებითი გეგმა-ვალდებულებებს ეკონომიის პირადი ანგარიშების შემუშავებას. ამას და ამის მსგავს ღონისძიებებს კარგი შედეგები მოჰყვა. უკვე პრაქტიკულად დაინერგა მუშების რაზდენიმე რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიურმა ეფექტმა ათიათასობით მანეთს გადააჭარბა.

პირადი გეგმები, რომლებიც მუშებმა თავიანთ სამოქმედო პროგრამად აქციეს, ტექნიკური პროგრესის, შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტურობის ამაღლების, წარმოების ტემპების ზრდის, ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების განაღდების წარმატებით შესრულების მნიშვნელოვან ფაქტად უნდა იქნას მიჩნეული.

თუ ქარხანაში შარშან 115 ინჟინერ-ტექნიკოსს ჰქონდა შედგენილი რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის პირადი გეგმები, დღეისათვის ასეთ ინჟინერ-ტექნიკოსთა რიცხვი 150-მდეა. ამას ემატება ათობით მუშა, რომლებიც ასევე ეკონომიის პირადი გეგმა-ვალდებულებებით შრომობენ. წარშან და წლეულს ჩვენი ქარხნის რაციონალიზატორებმა წარმოებაში 400-ზე მეტი ტექნიკური სიახლე დაინერგეთ, რამაც ნახევარ მილიონზე მეტი ეკონომია შექმნა. ახალი გეგმა-ვალდებულებებით ჩვენ მიმდინარე ხუთწლედში 300 ათასი მანეთით გავზრდით ეკონომიურ ეფექტს.

როცა ვლაპარაკობთ სვერდლოვსკელთა გამოცდილებაზე და მიზნად ვისახავთ პირად გეგმა-ვალდებულებათა პრაქტიკულად განხორციელებას, ამ საქმეში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მატერიალური წახალისების ახალი ფორმების შემოღებას. მაგალითად, პირადი შემოქმედებითი გეგმების განხილვისა და დამტკიცებისათვის, აგრეთვე მათი შესრულების შედეგების შეფასებისათვის და მატერიალური წახალისებისათვის ქარხანაში შეიქმნა სპეციალური კომისია საწარმოს დირექტორის ხელმძღვანელობით და საამქროების, სამსახურებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით. ხისტემატურად ეწყობა საამქროებს და განყოფილებების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა პირადი შემოქმედებითი გეგმებისა და მათს შესრულებაში საუკეთესო საამქროსა და განყოფილების გამოვლინების დათვალიერება-კონკურსი.

ახალი ხუთწლიანი გეგმით ჩვენი ქარხნის კოლექტივმა მნიშვნელოვნად უნდა გაზარდოს პროდუქციის გამოშვება, ამასთან, გააუმჯობესოს ხარისხი და მიაღწიოს წარმოების საერთო ეფექტიანობას.

ჩვენ, ქარხნის რაციონალიზატორები, გარკვეულ წვლილს შევიტანთ ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესრულებაში.

ჯ. მგელაძე,

რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის თბომომარაგებისა და ვენტილაციის საამქროს უფროსი, რაციონალიზატორი.

თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივი კარგა ხანია მუშაობს სვერდლოვსკელთა მაგალითით. სიახლეთა დანერგვით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი სამშენებლო კერამიკის საამქროს ჭურა-ღუმელების ჩამდგმელთა იმ ბრიგადამ, რომელსაც ა. მენთეშაშვილი ხელმძღვანელობს.

ამ ბრიგადის პირად ანგარიშზე გეგმის გადამეტებით მოდის 21.500 ცალი ნახევრად ფაიფურის ნაწარმი. ბრიგადის წევრები ყოველთვის მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებენ.

ხუთათზე: კერამიკის საამქროს ჭურა-ღუმელების ჩამდგმელთა ბრიგადის წევრები: მარცხნიდან — ნ. მოსულიშვილი, ე. გაბრიელაშვილი, ბრიგადირი ა. მენთეშაშვილი, მ. მენთეშაშვილი, ი. მელანაშვილი და ვ. ჭყოიძე.

მ. ბოგოხისს ფოტო.

პირადი გეგმების ეფექტი

როცა მაღალია შრომისნაყოფიერება და წარმოების რენტაბელობის დონე

სკკპ XXV ყრილობის წინა დღეებში დიდი ინტერესი აღძრა სვერდლოვსკელთა შუშაობის გამოცდილების გვერდმა, რომელიც გაზეთმა „კომუნისტმა“ შემოგვთავაზა. მე, როგორც წარმოების მუშაკი, სერიოზულად დამაფიქრა ჭ. პერეგუდარაულის მილების ქარხნის მუშაობის მაგალითმა და მსგავსი ღონისძიების გატარება მაღაროშიც ვცადე.

ახალი ითხვისის მაღარო უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ძლიერი საპოო საწარმოა. ამიტომ შედეგებიც კარგი გვაქვს. მრავალჯერ მოვიპოვეთ გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, მაღალია შრომისნაყოფიერებისა და წარმოების რენტაბელობის დონე. ერთი სიტყვით, თითქოს თავსატეხიც არაფერი გვაქვს. ეს ერთი შეხედვით, მაგრამ სვერდლოვსკელთა მაგალითი-სამგბრ ბრიგადულ და პირად გეგმებს გონების თვალით რომ შევხედეთ, სულ სხვა პერსპექტივები დგებესახა.

მეთხუთმეტე უბნის სამთოელების ყველა შესაძლებლობა ზუსტად გავიანგარიშეთ და პირადი გეგმები შევადგინეთ. მართლაც რომ მოულოდნელ შედეგს მივაღწიეთ! პირველი კვარტალის დაკალება 8,8 პროცენტის გადამეტებით შევასრულეთ, ქვეყანას მივეცით 3.206 ტონა ზეგეგმითი მანგანუმი, ხოლო შრომისნაყოფიერება 7,8 პროცენტით გავზარდეთ. ამჟამად უკვე შევასრულეთ მადნის გამოღების ნახევარ წლის დაკალება და უფრო უკეთესი გვაქვს სხვა ეკონომიური მაჩვენებლებიც.

მაინც რა არის ჩვენი შუშაობის საიდუმლოება?

ხუთწლედის გადიდებულმა ამოცანებმა ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა. ღვაწლმოსილმა სამთოელებმა, მექანიზებული სამაგრის შემანქანემ ნ. კაპანაძემ, კომბაინის მემანქანემ ნ. მახათაძემ, გვირაბგამყვანმა ო. ცუცქირიძემ, მბურღავმა ვ. დეკანოიძემ, მებეგე გ. ქიმაძემ აქტიურად დაუჭირეს მხარი პირადი გეგმების შემოღებას. გაჩნდა ახალი ჩანაწერები: ვინ რა გააკეთა კონკრეტულად დღის განმავლობაში, რა რაოდენობით მასალებს და ენერგიის დანაზოგი მისცა წარმოებას.

პრაქტიკაში დაინერგა ციკლური გრაფიკით შუშაობა. კარგად გამართული სამთო მექანიზმები თვითეულ მნგრეველს საშუალებას აძლევს ყოველდღიურად ნორმის გადამეტებით 2 ტონა მანგანუმი გამოიღოს.

პირადი გეგმების შემოღებამ სტიმული მისცა ახალ ტექნიკურ აზრებს. შუშებმა ინტერესი გამოიჩინეს კორექტივები შეეტანათ შუშაობის დადგენილ პრაქტიკაში. თუ წინათ სახვეტებიანი კონვეიერებით მანგანუმი ლენტიან გადამტვირთავზე იყრებოდა, ახლა ასეთივე კონვეიერებიდან მისი დატვირთვა პირდაპირ ვაგონებში ხდება. ამ სიახლეთ გაიზარდა შრომისნაყოფიერება და სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად გამოთავისუფლდა ლენტიან გადამტვირთავზე მომუშავე სამი კაცი. გარდა ამისა, სახვეტებიან კონვეიერს ამძრავთან გაუკეთდა შტრეკის გასამგრებელი მოძრავი კამერული ჩარჩო, რითაც წლიურად სულ ცოტა 50 კუბური მეტრი სამაგრი ხე-ტყე დაიზოგება.

განხორციელდა სხვა ღონისძიებებიც. უბნის ლავაში მექანიზებული სამაგრის დაარბეზი მუდმივად დაყენებული ძარები შეიცვალა მოძრავი ფარით, რითაც გაუმჯობესდა მაღაროელის შრომის პირობები, დაცულია ტექნიკური უშიშროების წესები. ამ სიახლის დანერგვა წლიურად 40 ათასი მანეთის ეკონომიას მისცემს წარმოებას.

აი ასეთია პირადი გეგმების შემოღების პრაქტიკული შედეგები და იგი კიდევ უფრო ეფექტური იქნება მომავალში.

ახალი ითხვისის მაღაროს შუშაკები კვლავაც თავიანთ შრომას საფუძვლად დაუდებენ სვერდლოვსკელთა მოწინავე გამოცდილებას, ენერგიულად იბრძოლებენ ეკონომიისათვის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის... უფრო გაადრმავებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მინიმალური კაპიტალური დანანდებებით, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციის გზით წარმატებათა მოსაპოვებლად.

ე. ტაბატაძე,

ჭიათურის სამთამადნო კომბინატის ახალი ითხვისის მაღაროს მე-15 უბნის გამგე.

ტექნიკური განახლების გზით

ჩვენი ფაბრიკის კოლექტივს ლიდი სარგებლობა მოუტანა მინიმალური კაპიტალური დანახარჯებით არს

ახალგაზრდა დეპუტატებს — მეტი მზრუნველობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა მუდმივი კომისიის სხდომა, რომელშიც მოისმინა მუდმივი კომისიის წევრის დეპუტატ ო. მენაბდის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ არ მუშაობენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ახალგაზრდა დეპუტატებთან. მომხსენებელმა და სხდომაზე გამოსულებმა მუდმივი კომისიის წევრმა დეპუტატმა შ. დევდარიანმა, 26 კომისრის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივანმა რ. სტურუამ, კიროვის რაიასბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგემ ლ. ფირცხალავამ, მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ედიშერაშვილმა, რუსთაველის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. უბირიამ, გარდაბნის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. დაშდამიროვმა აღნიშნეს, რომ საბჭოების აღმასკომები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, მეტ ყურადღებას უთმობენ ახალგაზრდა დეპუტატებთან მუშაობას, მნიშვნელი საქმისთვის მათი ინიციატივისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას.

პერიოდულად იმართება ახალგაზრდა დეპუტატების შეხვედრები შრომის მოწინავეებთან, კულტურის, ხელოვნების მოღვაწეებთან, სხვა დეპუტატებთან და ასე შემდეგ. მოწონების ღირსია „ახალგაზრდა დეპუტატის დღის“, თემატური საუბრების, დეპუტატის უფლება-მოვალეობათა საკითხებზე კონსულტაციების მოწყობის პრაქტიკა და სხვ.

ბევრი ახალგაზრდა დეპუტატი მონაწილეობს მუდმივი კომისიების მუშაობაში, აღმასკომების სესიებსა და სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში.

ამასთანავე ახალგაზრდა დეპუტატებთან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ყველა აღმასკომი არ აღგენს ახალგაზრდა დეპუტატებთან მუშაობის გეგმებს, იქ კი, სადაც შემუშავებულია ასეთი გეგმები (ქარელი, ორჯონიკიძის რაიონები), გათვალისწინებული არ არის ახალგაზრდობის ინტერესებიდან გამომდინარე კონკრეტული მიმართულებანი და ამოცანები. მთელ რიგ შემთხვევებში რაისაბჭოების აღმასკომები სათანადო პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ ახალგაზრდა დეპუტატებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში, არ აბამენ დამნაშავეობის, წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში. ახალი წეს-ჩვეულებების პროპაგანდის საქმეში.

აღმასკომები ყოველდღიურად არ ზრუნავენ ახალგაზრდა დეპუტატებთან მუშაობის გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებისათვის (ზესტაფონის, ქარელის რაიონები). ამ საქმეში სუსტად იყენებენ პროპაგანდის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა ადგილობრივი პრესა, რადიო და სხვ.

რაიონული საბჭოები იშვიათად აწყობენ ახალგაზრდა დეპუტატებისათვის სემინარებს, კრებებს, კონსულტაციებს (გორისა და მცხეთის რაიონებში).

კომისიის მუშაობის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ვასაძემ, განხილულ საკითხზე მუდმივმა კომისიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

დეკეშა ატლანტიკის ოკეანიდან

„ფორე მოსულიშვილი“ ტალღებს მიაპობს

გუშინ რედაქციის სახელზე ატლანტიკის ოკეანიდან ტანკერ „ფორე მოსულიშვილის“ ეკიპაჟისაგან დეპეშა მივიღეთ, რომელსაც ხელს აწერენ შორეული ნაოსნობის შტურმანი ამირან თორკია და ექიმი ეთერ პატარიძე.

აი რას გვწერენ ისინი:

უკანა დარჩა ათასობით მილი. გავიარეთ შავი ზღვა, ბოსფორის, მარმარილოს ზღვები, დარდანელის სრუტე, ხმელთაშუა ზღვა და გიბრალტარის სრუტით ატლანტიკის ოკეანეში გავედით. ტანკერი „ფორე მოსულიშვილი“, რომელსაც შორეული ნაოსნობის კაპიტანი პავლე ქოკილი ხელმძღვანელობს, დანიშნულების ადგილისაკენ — კონკორსიკენ მიეგართება. საბჭოთა სახელმწიფოს ალმით დამშვენებულ ტანკერს მეგობარი ქვეყნისათვის საჭირო ტვირთი მიაქვს.

საქართველოს მეზღვაურებს საუცხოოდ ესმით თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობა, ხელი შეიტანონ მშვიდობიანი თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებულ დავალებაში — განვითარებად ქვეყნებს შესაძლო დახმარება აღმოუჩინონ. ეკიპაჟი ყოველგვარ ამინდსა და პირობებში პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას.

ეკიპაჟმა დადიდებული ვალდებულება იკისრა — ტვირთის გადაზიდვისას არ იყოს კომერციული წესი, წლიური გეგმა ხუთი დეკემბრისათვის, კონსტიტუციის დღისათვის შესასრულოს, ძიიღოს 26.000 მანეთის ზეგეგმითი ეკონომია.

ახალგაზრდული ეკიპაჟი, რომელსაც ახლახან შექმნილი პარტიული ორგანიზაცია ხელმძღვანელობს, ქაპიტენის პირველი თანაშემწის შ. გორშკოვის მეთაურობით, მზად არის შესასრულოს საშობლოს ყოველგვარი დავალება.

ტანკერი „ფორე მოსულიშვილის“ ეკიპაჟი ღირსეული შრომით ასახელებს სამშობლოს.

უფროსკლასელები შრომითს ფერხულში

აზაფხულო არდადეგები საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მოზარდთა აქტიურ მონაწილეობას და ახალი ცოდნის დაუფლებას გულისხმობს. სწორედ ამ მიზნის იმსახურებან მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები და შრომითი რაზმები, რომლებიც ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი აღზრდისა და იდეური წრთობის შესანიშნავი სკოლაა.

დედაქალაქის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მოსწავლე ახალგაზრდობა აქტიურად ჩაბეს ზაფხულის არდადეგების დროს მოსავლის აღებისა და საკვების დამზადების საქმეში, უზრუნველყვეს შრომითი ბრიგადების მაღალი ორგანიზებულობა, ხელი შეუწყეს ნაკისრი ვალდებულებების უთუო შესრულებისათვის გაშლილი ზაფხულგაზრდული მოძრაობის გაფართოებას.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის 50-ე, 63-ე, 52-ე, მე-60 და 102-ე საშუალო სკოლების უფროსკლასელთა შრომითი ბრიგადები პირველი გაემზადერნენ სამუშაოდ გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობასა და მახარაძის რაიონის ლიმონურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ამასთან დაკავშირებით ეგზლის მოედანზე მოეწყო მოსწავლეთა შრომითი რაზმების საზეიმო გაცილება.

თ. გიბილური.

• • •

სურათზე: ორჯონიკიძის რაიონის სკოლების უფროსკლასელთა ერთ-ერთი შრომითი ბრიგადა თბილისის ვაგზალზე.

ავტორის ფოტო.

„სოვეტსკაია აბხაზიის“ მეთხუთმეტიათასე ნომერი

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს ორგანოს გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიის“ მეთხუთმეტიათასე ნომერი.

ეი უკვე 55 წელია გაზეთი „სოვეტსკაია აბხაზია“ ერთგულად ემსახურება შრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეს.

მის ფურცლებზე ფართოდ შუქდება ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიური, კულტურული ცხოვრება, გაზეთი პროპაგანდას უწევს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას, აკრიტიკებს ნაკლოვანებებს, შეურიგებლად ებრძვის ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. 1971 წელს, გაზეთის 50 წლისთავისათვის, შრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში დამსახურებისათვის პარტიამ და მთავრობამ იგი „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოდა.

მკითხველის ერთგულ მეგობარსა და მრჩეველს, კოლექტიურ პროპაგანდისტს, აგიტატორსა და ორგანიზატორს — „სოვეტსკაია აბხაზიის“ მასებში შეაქვს ბოლშევიკური მართალი სიტყვა, რაზმავს მათ კომუნისტური პარტიის გარშემო მეათე ხუთწლედის გრანდიოზულ ამოცანათა შესასრულებლად. (საქინფორმი).

ერთიანობა და შეკავშირება

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობა

ულან-ბატორი, 15 ივნისი. (საკდესი). დიდი პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი მონგოლ კომუნისტთა ურყევი ერთგულების ნიშნით განაგრძობს აქ მუშაობას მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობა.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ყრილობის გუშინდელ საღამოს სხდომაზე მიხასალმებელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. ულანოვმა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა ხალხის სახელით იგი მხურვალედ მიესალმა ყრილობის მონაწილეებს, კომუნისტებს, მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის, ამ ერთიანობისა და ურღვევობის ერთგულ ბურჯს.

დიდი სიხარულით ვასრულებთ, თქვა თ. დ. კულაკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ბრეჟნევის, თქვენი რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის პირად დავალებას. ლეონიდ ილიასძემ გვთხოვა თქვენ და თქვენი სახით მთელი მონგოლი ხალხისათვის გულთბილად, გულითადად გვეცხადებინა წარმატებანი, კეთილდღეობა და დიდი ბედნიერება.

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მოწვევა საბჭოთა კომუნისტებს ჩვენი პარტიისა და ხალხების ურღვევი ერთიანობისა და ძმური მეგობრობის ახალ დადასტურებად მიაჩნიათ.

ყველა ჩვენგანმა დიდი ყურადღებით მოვისმინეთ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ი. ცედენბალმა გააკეთა. შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციებიდან არის განზოგადებული მოხსენებაში პარტიისა და ხალხის მდიდარი გამოცდილება განვლილი ხუთწლედის მანძილზე. დასახულია მონგოლეთის მიწა-წყალზე სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის ახალი დიდი ამოცანები.

ნიჭიერი და შრომისმოყვარე მონგოლი ხალხის დიდი მუშაობა, პარტიის პოლიტიკური, ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობა მართლაც რომ ჩვენს თვალწინ გარდაქმნის თქვენი ქვეყნის სახეს, თქვა შემდეგ თ. დ. კულაკოვმა. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ და გეგმაზომიერად მიდის წინ სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზით, სწრაფად ზრდის სამრეწველო პოტენციალს, ავითარებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

წლითიწლობით მაღლდება თქვენი რესპუბლიკის საერთაშორისო ავტორიტეტი. იგი აქტიურად უწყობს ხელს მშვიდობის განმტკიცებას, ყველა ხალხის თავისუფლების, დემოკრატიის, სოციალური პროგრესის უფლებათა დაცვადრეს. დღეს სოციალისტურ მონგოლეთს ბევრი ხალხი პატივისცემითა და ინტერესით შეჰყურებს. ეს გასაგებია არის. მონგოლეთმა პრაქტიკულად განახორციელა ლენინის გენიალური წინასწარმეტყველება განვითარების კაპიტალისტური სტადიის გვერდის ავლით ფეოდალურ-მზმდან სოციალიზმზე გადასვლის შესაძლებლობის შესახებ.

დიდი წარმატებები და მიღწევები, რომლებითაც მონგოლეთი თავის ოცდაშესანიშნავ იუბილეს — სახალხო რევოლუციის 55 წლისთავს ხვდება, — დამაჯერებლად ადასტურებს, თუ რაოდენ სწორია მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის პოლიტიკა. ისინი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი მეთაურისა — მონგოლი ხალხის ერთგული შვილის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწის, თანმიმდევარი ინტერნაციონალისტის ამხანაგ ი. ცედენბალის ნაყოფიერ საქმიანობას მოწმობს.

წლინახევრის წინათ, ულან-ბატორში გამართულ საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას, ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა შესანიშნავი სიტყვები თქვა, რომლებიც მოძმე მონგოლეთისადმი ჩვენი დამოკიდებულების ბრსს გამოხატავს: „მონგოლ ხალხთან, სოციალიზმისათვის ბრძოლაში ჩვენს უძველეს თანამებრძოლებთან მეგობრობა, ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის ღირსების საქმე და ინტერნაციონალური მოვალეობაა“.

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის გმირულ წლებში, ხალხინ-გოლის ბრძოლებში, დიდი სამამულო ომის მრისხანე ჟამს, მშვიდობიანი მშენებლობის სახელოვან პერიოდში ჩვენი ქვეყნების მშრომელები მუდამ ერთად იყვნენ, მოქმედებდნენ როგორც თანამებრძოლნი, ძმები, აღნიშნა თ. დ. კულაკოვმა. ჩვენს ურღვევ კავშირს ასახავს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელსაც ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ი. ცედენბალის ხელმოწერა ამშვენებს.

ჩვენი კავშირი მოძმე პარტიების — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის საქმიანობით არის შთაგონებული. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ყველა საბჭოთა ადამიანს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც თვალსაჩინივით გაუფრთხილდნენ და განამტკიცონ ძმური მეგობრობა, განავითარონ ჩვენი პარტიების, ქვეყნებისა და ხალხების თანამშრომლობა.

თქვენს ყრილობაზე, განაგრძო ორატორმა, განიხილება მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და კულტურის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებები. ისახება მონგოლეთის შემდგომი სოციალურ-ეკონომიური პროგრესის დიდი და რთული ამოცანები. მიმდინარე ხუთწლეულში მონგოლეთის მიწა-წყალზე ასობით ახალი სარეწველო, სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ-საყოფაცხოვრები ობიექტი ამოქმედდება. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას: წინ დიდი შრომა მოგელით. საბჭოთა კომუნისტებმა თავიანთი გამოცდილებით იციან, რომ ასეთი დიდი გეგმების განხორციელება, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ არის. იგი ძალების დაძაბვასა და მთელი რეზერვების მობილიზაციას მოითხოვს.

ყრილობის ტრიბუნიდან ამხანაგმა ი. ცედენბალმა გულთბილად ილაპარაკა იმ მრავალმხრივ და უანგარო დახმარებასა და მხარდაჭერაზე, რომელსაც საბჭოთა ხალხი მონგოლეთს სოციალიზმის მშენებლობაში უწევს. და ჩვენ, თქვა თ. დ. კულაკოვმა, ბუნებრივია, ამ სიტყვებს კმაყოფილებისა და მადლიერების გრძნობით აღვიქვამთ. მოხსენებაში გამოთქმულია აქტუალური და დიდმნიშვნელოვანი აზრები მონგოლეთ-საბჭოთა კავშირის ყოვლმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების, ჩვენი ხალხების დაახლოების გზების შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში სრული გაგებით ეკიდებიან მონგოლ კომუნისტთა და მშრომელთა მისწრაფებას ყოველნაირად გაიფართოონ და გაიღრმავონ საბჭოთა კავშირთან და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან პოლიტიკური, ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობა.

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ურყევი და თანამიმდევრული საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის, მათი ძლიერებისა და ავტორიტეტის ზრდის, მსოფლიო ასპარეზზე ანტიიმპერიალისტური, პროგრესული ძალების შემდგომი აქტივიზაციის მოხენი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის სასარგებლოდ დიდი გარდამქნები ხდება. საერთაშორისო ურთიერთობაში სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის, ძალის გამოყენებაზე უარისთქმის, თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის პრინციპები. საერთაშორისო ცხოვრების მთავარი ტენდენცია დაძაბულობის შენელება გახდა. ყოველივე ეს მოძმე სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შეთანხმებული მოქმედების, მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის დიდი წარმატებაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის აზრით, უკვე მიღწეული შედეგები უნდა დამკვიდრდეს დაძაბულობის შენელების საქმეში, კიდევ უფრო განვითარდეს ეს პოზიტიური პროცესი. ასეთი ხაზი მკაფიოდ არის გამოხატული მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამაში, რომელიც ჩამოყალიბებულია XXV ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში. ჩვენის რწმენით, დაბეჯითებით უნდა გავაფართოოთ ხელსაყრელი საქმიანი ურთიერთობის სფერები, მოთმინებით ვეძებოთ გზები ინისთვის, რომ პოლიტიკური დაძაბულობის შენელება სამხედრო დარგში დაძაბულობის შენელებით შეავსოთ და განვამტკიცოთ, საკადრისი პასუხი გავცეთ იმპერიალისტური აგრესიისა და რეაქციის ძალებს.

უმთავრეს ამოცანად მიგვაჩნია, რომ ბოლო მოვუღოთ გამაღებულ შეიარაღებას, რომელიც გრძელდება, გადავიდეთ სამხედრო ხარჯების შემცირებაზე, განიარაღებაზე. როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ატომური აფეთქებების შესახებ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელშეკრულების ხელმოწერისას თქვა, „არა არის რა იმაზე უფრო მაღალი და ჰუმანური მიზანი, ვიდრე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ყოველმხრივ განმტკიცება, ომის საფრთხის საიმედო აღმოფხვრა სახელმწიფოთა ურთიერთობიდან“.

და თავისთავად გასაგებია, თქვა შემდეგ ორატორმა, რომ საბჭოთა კავშირს, რომლის ტერიტორიის მეტი ნაწილი აზიაშია განლაგებული, არ შეიძლება არ ინტერესებდეს ამ კონტინენტზე მდგომარეობის განვითარება. აზიის უშიშროების საკითხებს ჩვენი პარტია, ჩვენი სახელმწიფო მთელი სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით უდგებიან. მშვიდობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მოკავშირეს საქმე ისე წარმართოთო, რომ აზიაში მშვიდობა და უშიშროება აზიის სახელმწიფოთა ერთობლივი მეცადინეობის საფუძველზე უზრუნველყოთ. აზია შეიძლება და უნდა გახდეს მშვიდობისა და ხალხთა კეთილმეზობლობის კონტინენტი.

ახორციელებენ რა თავის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა თანამიმდევრულად ადგანან პრინციპულ ხაზს ჩინეთთან ურთიერთობაში. ჩვენ კვლავაც შეურიგებლად ვიბრძოლებთ მაოიზმის, სოციალიზმისა და მშვიდობის საქმისადმი უაღრესად მტრული მიმდინარეობის წინააღმდეგ. საბჭოთა ადამიანები ყოველთვის სოლიდარული არიან თავიანთი მონგოლი ძმებისადმი. მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის უუფრენენტატი და მისი დამოუკიდებლობა ურღვევია. ამის საწინდარია მონგოლი ხალხის ნება, საბჭოთა კავშირ-მონგოლეთის ურღვევი კავშირი, სოციალიზმის მოძმე ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა.

ამასთანავე, როგორც უკვე განვაცხადეთ, საბჭოთა კავშირი ჩინეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისა და გაუმჯობესებისათვის იღვწის. XXV ყრილობაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა პრინციპები, რომელთა საფუძველზე ეს შეიძლება მიღწეულ იქნას ორივე ქვეყნის ხალხთა ძირეული ინტერესების, მშვიდობისა და სოციალიზმის საკეთილდღეოდ. ახლა, როგორც ცნობილია, ჩინეთმა თავისი სიტყვა უნდა თქვას.

თქვენი ყრილობის ტრიბუნიდან, თქვა თ. დ. კულაკოვმა, ჩინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ჯარები და ხალხი დიდად აფასებენ მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტრუქციულ ზელილს აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში, თქვენს უკვალულ სოლიდარობას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ხალხთა ბრძოლისადმი. საბჭოთა კავშირსაც ღირსეულად აფასებენ მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობის მონაწილეებს. დარბაზში მონგოლი ხალხის ერთგული მეგობრის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სადიდებელი სიტყვები გაისმის.

დღეს ყრილობაზე კვლავ განიხილავდნენ მონგოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, რომელიც მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ცედენბალმა წაიკითხა, აგრეთვე მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშს. დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებმა სახალხო მონგოლეთის მთელ ცხოვრებაზე უდიდესი ზემოქმედება მოახდინა. მათ მოლოიანად და სავსებით დაუჭირეს მხარი მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის პოლიტიკას, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი დაახლოების დარგში.

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის ბევრი დელეგაციების მეთაურები, რომლებსაც დამზრენი გულთბილად შეხვდნენ.

მომმე პარტიათა დელეგაციებმა მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობას სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელით ყრილობას საჩუქრად გადაეცა სსრ კავშირის სახალხო მხატვრის პ. ტ. მალეცკის სურათი „წითელი მოედანი. ლენინთან“.

ულან-ბატორი, 16 ივნისი. (საკდესი). მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობის მუშაობის მესამე დღე დაიწყო სამანდატო კომისიის მოხსენებით.

ყრილობა დამაჯერებლად ცხადყოფს მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის რიგების მონოლითობასა და სიმწიფეს, პარტიისა და ხალხის მტკიცე ერთიანობას, მონგოლი კომუნისტების, მონგოლეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მშრომელის უერთგვეგ მეგობრობასა და თანამშრომლობას კლასობრივ ძმებთან — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხთან, მსოფლიო პროგრესულ ძალებთან კავშირს, რომელიც სულ უფრო მტკიცდება.

მონგოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XVII ყრილობას მიესალმნენ ბევრი ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი, დემოკრატიული ორგანიზაციებისა და მოძრაობების დელეგაციათა მეთაურები.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ულან-ბატორი, 15 ივნისი. (საკდესი). ...

ჯილდოების გადაცემა

ᲙᲙᲨ

ვაშინგტონი. (საკდესი). ...

გდრ შეხვედრა გერლინში

ბერლინი. (საკდესი). ...

ᲛᲝᲜᲘᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲡᲘᲓᲐᲜ

16 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

გაიხსნა საერთაშორისო კოსმოსური ფორუმი

ფილადელფია. (საკდესის კორ.). ...

ᲥᲔᲠᲣ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲮᲣᲜᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ



მეგობრობის სიმბოლო

მეგობრობის სიმბოლოს უწოდებენ კუბელები საერთაშორისო სისტემის „ინტერთანამგზავრის“ კოსმოსური კავშირის სადგურ „კარიბეს“, რომელიც კავანის ახლოს აშენდა საბჭოთა და კუბელი სპეციალისტების მჭიდრო მეგობრული თანამშრომლობის საფუძველზე. სატელევიზიო პროგრამების გადაცემა ხორციელდება საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის „ოლნია-2“-ის საშუალებით.

• • •

სურათზე: კოსმოსური კავშირის სადგურ „კარიბეს“ გარეგნული ხედი.

პრესა ლატინა-ახალი ამბების საგენტოს ფოტო.

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜᲘ—ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡᲢᲘ

ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲖᲔ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ ...

ქართული ჩაის კვირეული
ალმა-ათაში

ერის სიმღიდრე

□ უაზახეთის მშრომელები ეცნობიან საქართველოს მეჩაიეთა ნახელავს
□ მოკლე რეპორტაჟი გამოფენა-გაყიდვის ერთი ობიექტიდან □ ალმაათელთა სურვილები.

ალმა-ათა. 16 ივნისი. (ტელეფონით). როგორც უკვე ვწერდით, ქართული ჩაის კვირეულის მიზანია მომძე რესპუბლიკის — უაზახეთის მშრომელები უფრო ახლოს გაეცნონ ქართული ჩაის ღირსებას, მის უპირატესობას. ორმა დღემ უკვე ცხადყო, რომ ეს უთუოდ კარგი ღონისძიებაა.

ჩვენი თანამემამულენი ძმაყოფილებით შესცქეროდნენ ალმა-ათელთა უჩვეულო ინტერესს გამოფენა-გაყიდვისადმი. ჩვენ ერთ-ერთ გამოფენა-გაყიდვას ვესწრებოდით. თავი რომ დავანებოთ გასტრონომის შიდა კარგ გაფორმებას, კულტურულ მომსახურებას. მეტად ეფექტური იყო თვით გამოფენა-გაყიდვა. შენობის ფასადთან განლაგებული სამოვრები, ჩაიდნები, ტაბილეული, პლაკატები, სარეკლამო ფარები და ბუკლეტები სახეიმო იერს ანიჭებდა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას.

ალმაათელთათვის მწვანე ჩაი სიახლეა. და როდესაც რუსპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ ინჟინერ-ტექნოლოგმა ნ. ბარსანოვამ პრაქტიკულად უჩვენა, თუ როგორ ხდება ჩაის დაყენება, შემდეგ კი დეგუსტაცია, ბევრი დარწმუნდა, რომ ქართული ჩაი არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთულს. მათთვის განსაკუთრებით უცხო იყო მწვანე ჩაი და მისი კეთილშობილური თვისებები.

როცა ახალგაზრდა მათემატიკოსმა ა. აბადილაპაროვმა გასინჯა ქართული მწვანე, ასევე მაღალხარისხოვანი შავი ჩაი, თქვა: მართლაც რომ ჩინებულია, რატომღაც ჩვენმა წინაპრებმა ინდური ჩაის პრიორიტეტი დამკვიდრესო, მე კი მგონია ქართულ ჩაის უკეთესი თვისებები აქვს. უფრო მეტი კონტაქტი უნდა დავამყაროთ ერთმანეთთან, რომ შემთხვევიდან შემთხვევამდე კი არა, ყოველდღიურად ვგრძნობდეთ ქართული ჩაის სიკეთეს.

დაგვაინტერესა ალმაათელთა შენიშვნებმაც. და მათზე პასუხი რომ გაგვეცა, ვთხოვეთ ქართული ჩაის კვირეულის თბილისის დელეგაციის ერთ-ერთ წარმომადგენელს, ჩაის გადამწონი ფაბრიკის ტექნოლოგს ი. ჩიგოგიძეს გამოეთქვა თავისი აზრი.

ი ი რა თქვა მან:

— თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა ერთ-ერთი მოწინავეთაგანია ჩვენს ქვეყანაში. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან საქართველო ჩაის რესპუბლიკად არის აღიარებული. ის ხომ თავისი ნედლეულით მთელს ჩვენს ქვეყანას 95 პროცენტით ამარაგებს. გარდა თბილისისა, ჩაის გადამწონი ფაბრიკები არსებობს მოსკოვში, ოდესაში, რიგაზაწში, ბაქოში, სამარყანდში, ირკუტსკში, ალმა-ათაში. მარტო ის ფაქტი, რომ თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკა ძირითადად აკმაყოფილებს რუსეთის სფსრ რესპუბლიკას, თავისთავად მოწმობს მის დიდ მნიშვნელობას. ფაბრიკის მიერ გამოშვებული პროდუქციის 74 პროცენტი პირველი და უმაღლესი ხარისხის ჩაია. რაც შეეხება ალმაათელთა სურვილს, რომ საქართველომ მეტად მოამარაგოს აუზახეთი მაღალი ხარისხის ჩაით, ვეცდებით მის განხორციელებას. ღღესდღეობით აუზახეთის ხუთას ტონა დაფასოებულ ბაიხაო ჩაის ვუგზავნით. ამას უნდა დავუმატოთ ის ნედლეულიც, რომლითაც ალმა-ათის ჩაის გადამწონ ფაბრიკას ვამარაგებთ (იგი 3.500 ტონით გამოიხატება). ერთი სიტყვით, შენიშვნებს გავითვალისწინებთ, ვეცდებით დავაკმაყოფილოთ უაზახეთის მშრომელთა მოთხოვნები.

ასეთი მსჯელობებისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობს ქართული ჩაის კვირეული ალმა-ათაში.

ჯერ კიდევ წინ არის ქართული ჩაის პროპაგანდის გადამწყვეტი დღეები და უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი უფრო ეფექტური და მიმზიდველი, ამასთანავე დასახსომეველი იქნება უაზახეთის მშრომელებისათვის.

ჩაის დღესასწაული გრძელდება.

ვ. გაგელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

მოსკოველთა ტაში

„პორგი და ბესი“ მოსკოვის სცენაზე ● ბესის პარტია იმღერა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ლამარა ჭყონიამ

1937 წელს 38 წლისა გარდაიცვალა დიდი ამერიკელი კომპოზიტორი და პიანისტი ჯორჯ გერშვინი... მისი მშობლები დაიბადნენ და ცხოვრობდნენ რუსეთში, გასული საუკუნის მიწურულს კი საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდნენ... აქ, ქალაქ ბეევრლი-ჰილში (კალიფორნიის შტატი) დაიბადა ჯორჯ გერშვინი.

მისი შემოქმედების გვირგვინია „რაფსოდია ბლუზის სტილში“ ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისათვის და განსაკუთრებით — ოპერა „პორგი და ბესი“, რომელიც კომპოზიტორმა 1935 წელს დაწერა. ოპერას სიუჟეტად ამერიკელი ზანგების ძმიმე ცხოვრება და გამოუვალი ხვედრი დაედო... ეს არის ამერიკის შეერთებული შტატების პირველი ეროვნული ოპერა, რომელმაც ტრიუმფით მრიალა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში... საინტერესოა, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისის კონსერვატორიის სცენაზე შესრულდა. გერშვინის ამ ოპერის ნაწყვეტები...

ჩვენს ქვეყანაში კარგად იცნობენ და პატივს სცემენ გერშვინის მუსიკალურ მემკვიდრეობას, ამ დღეებში მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში საკონცერტო შესრულებით პირველად აფიშირდა „პორგი და ბესი“... პორგის პარტია შეასრულა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატმა ლევ ლეშჩენკომ, ბესის პარტია იმღერა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა **ლამარა ჭყონიამ.**

კონცერტში მონაწილეობდნენ საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის საეტრადო სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორი — საბჭოთა კავშირის სასალხო არტისტი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, დირიჟორი ი. სილანტიევი, საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის აკადემიური დიდი გუნდი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, პროფესორ კ. პტიცას ხელმძღვანელობით, დიდი საბავშვო გუნდი რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლ. ერმაკოვის ხელმძღვანელობით. რეჟისორი—საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, რსფსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ე. სიმონოვი.

გერშვინის „პორგი და ბესის“ საკონცერტო შესრულებას დიდი წარმატება ხვდა. სცენა ცოცხალი ყვავილებით დაიფარა... მსახიობებს დიდხანს არ უშვებდნენ სცენიდან. კონცერტის შემდეგ, გაზეთ „კომუნისტისათვის“ ინტერვიუ ვთხოვეთ ჩვენ ქვეყნის გამოჩენილ მუსიკალურ მოღვაწეებს. აი რა გვითხრეს მათ:

ბ. სვირიდოვი—სსრკ სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი კომპოზიტორი, პროფესორი, ლენინური პრემიის ლაურეატი: მთელი გულით ვუსურვებ კოლექტივის ყველა წევრს „პორგი და ბესის“ დიდებულ საკონცერტო შესრულებას. შესანიშნავად ჟღერდა ორკესტრი ი. სილანტიევის დირიჟორობით, მსახიობებმა შეეხვიჭრა „წაიკითხეს“ გერშვინის ოპერის მთავარი იდეა. ყველა შემსრულებელი მაღალი პროფესიული ოსტატობით გამოირჩევა. შეეხვიჭრა ბავერდოვანი ბარიტონი აქვს ლ. ლეშჩენკოს. განსაკუთრებული ქების ღირსია ლამარა ჭყონია, რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი ურთულეს პარტიას, მისი დიდებული ხმა თავისუფლად ჟღერდა ყველა რეგისტრში, გულით ვულოცავ ღირსეულ წარმატებას...

ი. სილანტიევი. — სსრკ სახალხო არტისტი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, დირიჟორი. გერშვინის ოპერაში შეზავებულია მსუბუქი ჟანრის, ე. წ. ბროდვეის ესტრადის და ევროპული მუსიკის კლასიკური ფორმები. მუსიკა გამოირჩევა საოცარი ბრწყინვალეებთ. კომპოზიტორის შემოქმედებას ახასიათებს გროტესკი, იუმორი, სატირის ფორმები... ჩემი ოცნება იყო საკონცერტო შესრულებით დაგვედგა „პორგი და ბესი“, 15 წელიწადი ვატარებდი თან სანუკვარ სურვილს. მიხარია, რომ დადგმა განხორციელდა. ჩვენი კოლექტივი მთელი გულისყურით მოეკიდა პასუხსაგებ ამოცანას. მაყურებელთა მადლობა ყველაზე დიდი ჯილდოა ჩვენთვის. წარმატება ყველამ თანაბრად გაინაწილა. დიდი მადლობის და ქების ღირსია ლამარა ჭყონია. მან ორი კვირის განმავლობაში მოამზადა საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ურთულესი პარტია. ამას გარდა მან ჩემი თხოვნით მოამზადა კლარას პარტიაც ამავე ოპერაში. წინ საინტერესო გეგმები გვაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ ლამარა ჭყონიას ახალი გამარჯვებები ელის.

ნ. ბელსკაია — რსფსრ დამსახურებული არტისტი, ხ. პროკოფიევის სახელობის კვარტეტის წევრი, ჩვენი ჰატარა მუსიკალური კოლექტივის სახელით დიდ მადლობას ვუხდი ყველას დიდებული სანახაობისთვის. ლამარა ჭყონიას ჯერ კიდევ კოევიდან ვიცნობ. მახარებს მასთან ყოველი შეხვედრა. მისი ტალანტის და ოსტატობის თაყვანისმცემელი ვარ. მომავალ წარმატებებს ვუსურვებ მსახიობს!..

აი რა გვითხრა თვით ლამარა ჭყონიამ:

— დიდი მადლობა ახალ კოლექტივს, რომელთანაც სიამოვნებით ვიმუშავე, დიდი მადლობა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, დირიჟორ იური სილანტიევს — საოცარი ენერგიისა და შემართების ადამიანს, დაჯილდოებულს დიდი მუსიკალური კულტურით და ტალანტით. ყოველთვის თან წამყვავება ის სიხარული და ალმაფრენა, რომელსაც ვგრძნობდი ბესის პარტიაზე მუშაობის დროს. მე შევიყვარე გერშვინის დიდებული მუსიკა, მისი მგრძნობელობა — უბრალო ზანგების სულის სიღრმე, თავდადება და მეგობრობის დიადი გრძნობა. მიხარია, რომ მაყურებელმა ასე თბილად მიიღო „პორგი და ბესი“, ეს ბევრს მავალებს... სასურველია თბილისის ოპერის სცენაზე დაიდგას გერშვინის „პორგი და ბესი“, იგი ყველასთვის მისაწვდომი იქნება.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქ. მოსკოვი.

• • •

სურათზე: მღერის ლამარა ჭყონია.

მონრეალში—იმედიანად!

თბილისს ვოლტრეკზე დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი ვოლოსპორტში. მის შედეგებს განსარტავს ქვეყნის ნაკრების უფროსი მწვრთნელი როსტისლავ ვარგაშკინი:

— განვლილმა ჩემპიონატმა ქვეყნის ნაკრები გუნდის მწვრთნელები დიდ გასაჭირში ჩააყენა. ოლიმპიური გუნდის ყველა კანდიდატი შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო, — ვისთვის მიეცათ უპირატესობა? მაგალითად, სპრინტში თითქმის არავინ ეკვობდა, რომ გაიმარჯვებდა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ჩემპიონი კიშინიოველი ანატოლი იაბლუნოვსკი. საერთო აზრით, მას კონკურენციას მხოლოდ ხარკოველი სერგი კრავცოვი თუ გაუწევდა, მაგრამ თბილისის მესამე დასკვნითმა ეტაპმა (სსრ კავშირის ჩემპიონატი ამ სახეობაში მიმდინარეობს მრავალტურიანი სისტემით) გააქარწყლა მწვრთნელთა ყველა ვარაუდი. იგი დამაჯერებლად მოიგო ოლიმპიურმა ჩემპიონმა ტანდემით რბოლაში ლენინგრადელმა ვლადიმერ სემენეცმა. იაბლუნოვსკი მესამე იყო, კრავცოვი — მეოთხე. უძლიერესთა დავაში ჩაერია ახალგაზრდა ტუულელი ოლეგ ბუდიმი, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა. თუმცა, ამ სახეობაში ოლიმპიური მონაწილის „საგზური“ ჯერჯერობით პატრონს ელის. იგი გაირკვევა 3 ივლისს, როცა თბილისის ტრეკზე გაიმართება უკანასკნელი ოლიმპიადისწინა ასპარეზობა.

გადაწყვეტილი არ არის საბჭოთა ოლიმპიელის საკითხი ოთხ კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაშიც. თბილისელი ოქროს მედალი მოიპოვა ლენინგრადელმა ვლადიმერ ოსოკინმა. მეორე იყო ჯონსნოდარელი ალექსანდრე პეროვი. თითქოს ყველაფერი ნათელია., მაგრამ ... ?

ვოლოსპორტში სსრ კავშირის ჩემპიონატის შემდეგ

□

რამ პეროვი წინასწარ რბოლაში ყველაზე „სწრაფ წამებს“ აჩვენებდა, ნახევარფინალში კი საუკეთესო დრო — 4 წუთი და 48,31 წამი უჩვენა. თუ ვინ გამოვა მათგან ამ სახეობაში, ამას გამოავლენს ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრნოს „ევროპის დიდი პრიზის“ ასპარეზობა.

ამ ტურნირის შედეგების მიუხედავად, ორივე ვოლოსიპედისტს განადგებული აქვს ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში მონაწილეობის უფლება. მოსკოველ ვიქტორ სოკოლოვთან და ტულელ ვიტალი პეტრაკოვთან ერთად ისინი იბრძოდნენ ოთხ კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში. ამ კვარტეტმა თბილისის ტრეკზე ორჯერ გაუმჯობესა საკავშირო რეკორდი, რომელიც ახლა 4 წუთსა და 23,24 წამს შეადგენს. ეს საერთაშორისო კლასის შედეგია.

ეჭვს არ იწვევს ორგზის მსოფლიო ჩემპიონის ოსკელი ედუარდ რაპის კანდიდატურა. თბილისში მან ჭეშმარიტად ჩემპიონური დრო უჩვენა — 1 წუთი და 06,74 წამი. ედუარდს მხოლოდ მეასედი წამი დაკლდა თავისივე საკავშირო რეკორდის გამეორებამდე.

— ვინ იქნებიან საბჭოთა ვოლოსიპედისტების კონკურენტები მონრეალის ოლიმპიადაზე?

— მიუხედავ შემდეგ სიჩქარემ ტრეკზე იმატა. ახლა პრიზიორი გამარჯვებულს მხოლოდ მეასედი წამით ჩამორჩება. კონკურენცია მწვავე იქნება. მეტოქეები კი ტრადიციული გვეყოლება — იტალიელი, ფრანგი, პოლონელი, გერმანელი, ჩეხოსლოვაკიელი ვოლოსიპედისტები, თუმცა, რა თქმა უნდა, შესაძლებელია ... ? ... ველგვარი მოულოდნელობა.

— გვაინტერესებს თქვენ თვალთა თუმცა საქართველოში ტარებული ტრეკი გვაძლევს, რატომაა, რომ მისი „შესაფერისი“ ვოლოსიპედისტები არა გვყავს?

— ვფიქრობ, უმთავრესად იმიტომ, რომ არ არის მასობრივობა, ეს მით უმეტეს გასაკვირია, რომ ვოლოსიპედი ახლა მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია. იგი ხომ ნამდვილად აკაკების ჯანმრთელობას. შემიძლია მოვიყვანო ედუარდ რაპის მაგალითი, რომელიც ბავშვობისას გულით ავადმყოფი იყო. იგი არა მარტო განიკურნა სენისაგან, არამედ მსოფლიო ვოლოსპორტის ელიტაშიც შედის. ასე რომ, მთავარი ამოცანაა ვოლოსპორტში ჩავაბათ ახალგაზრდობა.

— უკანასკნელი შეკითხვა: რა გეგმები აქვთ საბჭოთა ოლიმპიელებს?

— მიუხედავად ოქროს მედალი (ტანდემი — ცელოვალნიკოვი და სემენეცი) და ერთი ბრინჯაოსი (სპრინტი — ფხაკაძე). გვინდა ოლიმპიურ მონრეალში უფრო კარგად გამოვიდეთ.

ი. გორელოვი,
(საქინფორმიბ კორ.).

ᲐᲜᲐ ᲯᲘᲚᲔᲜᲩᲘ

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ექიმი, მეცნიერების და მსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანა ჯავითის ასული ჯღენტი.

ანა ჯღენტი დაიბადა 1895 წელს სოფელ ქვაციხეში (ციოთურის რაიონი), პედაგოგის ოჯახში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1924 წელს მუშაობას იწყებს პროფესორ ა. ალადაშვილის საფაკულტეტო თერაპიულ კლინიკაში ჯერ ორდინატორის, შემდეგ კი ასისტენტის თანამდებობაზე. 1939 წელს მან დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1956 წლიდან ის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორია. 1957 წლიდან 1974 წლამდე პროფესორი ანა ჯღენტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული, სან-ჰიგიენური და სტომატოლოგიური ფაკულტეტებს შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის კათედრის გამგე.

დიდია ანა ჯღენტის, პირველი ქართველი თერაპევტი პროფესორი ქალის დამსახურება ქართული მედიცინის წინაშე. მან დეტალურად შეისწავლა საქართველოში ხმარებული საგვამონო ნეკითიერებათა გაფლენა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებაზე, საფუძვლიანად დაამუშავა ბორჯომის მინერალური წყლის ზემოქმედება ორგანიზმზე; პირველმა აღმოაჩინა ჩვენში ღვიძლის პარაზიტის ფასციოლა ჰეპატიკას არსებობა, დაადგინა ინკლინსტომიდოზის ენდემიური კერები საქართველოში, შეისწავლა პელეგრის კლინიკური თავისებურებანი და სხვ.

პარტიამ და მთავრობამ ჯეროვნად დააფასეს პროფესორ ანა ჯღენტის საქმიანობა. მას მინიჭებული ჰქონდა ტიტულები და მსახურებული მოღვაწის სახელო წოდება, დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო; თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი; საქართველოსა და თბილისის თერაპევტთა სამეცნიერო საზოგადოებები.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკუთრივ ჩემპიონატის მორიგი მატჩი. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები — ცსკა და „ლოკომოტივი“.

ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს არმიელებმა.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის უმაღლესი ლიგა
11 ტურის შემდეგ

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ჭ.
„არარატი“	7	1	2	16-6	15
„დინამო“ თბ.	6	2	4	15-7	14
„დინამო“ მ.	5	4	1	9-5	14
„დინამო“ კ.	5	3	2	9-4	13
„კარპატი“	5	2	3	16-13	12
„კრ. სოვეტოვი“	4	4	3	11-10	12
„შახტიორი“	4	4	3	9-11	12
„ჩერნომორეცი“	4	4	3	11-14	12
ცსკა	4	3	3	14-10	11
„დინამო“ მნ.	4	3	4	9-9	11
„ტორპედო“	3	3	5	9-13	9
„ზენიტი“	3	2	5	9-11	8
„სპარტაკი“	3	2	6	8-11	8
„დნეპრი“	3	2	6	11-15	8
„ლოკომოტივი“	2	3	7	12-18	7
„ზარია“	1	4	6	3-14	6

შენიშვნა: „არარატს“, მოსკოვისა და კიევის „დინამოს“, „კარპატს“, ცსკა-ს და „ზენიტს“ ჩატარებული აქვთ ათ-ათი მატჩი, თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივს“ — 12 თვითეულს.

„ნადიკვარი“ და „მეშახტე“

ბრძოლება საქართველოს პირველობა ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის.

პირველ ზონაში წარმატებით ახპარეზობს თელავის „ნადიკვარი“, რომელმაც ბოლო ტურში თავის მოედანზე ანგარიშით 3:0 დაამარცხა თბილისის სკა. თელაველები 24 ქულით (15 თამაშის შემდეგ) ლიდერობენ ტურნირს. მეორე ადგილზეა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი — 18 ქულა 13 თამაშიდან.

მეორე ჯგუფში დაწინაურდა ტყიბულის „მეშახტე“, რომელმაც მოუგო ფოთის „კოლხეთს“ — 1:0. „მეშახტეს“ 16 თამაშის შემდეგ აგრეთვე 24 ქულა აქვს. მომდევნო ადგილებზე არიან გეგეჭკორის „სალხინო“ და მახარაძის „მერცხალი“ — თვითეულს 21 ქულა 15 თამაშიდან.

„სპორტლოტოს“ ტირაჟი

გაცნობებთ 16 ივნისს მოსკოვში გამართული „სპორტლოტო“ და „სპორტლოტო-2“-ის 24-ე ტირაჟის შედეგებს:

„სპორტლოტო“ — 10 (ბუერი), 16 (ტანგარჯიში), 4 (მთამსვლელობა), 8 (ცრეკი), 35 (სპიდეი), 48 (ველოსიპედი);

„სპორტლოტო-2“ — 27 (მოტოსპორტი), 49 (შაში), 37 (სროლა), 5 (ბადმინტონი), 41 (ჩოგბურთი), 14 (ფრენბურთი).

(საკადესი).

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

ლიდერია ვ. ჰორტი

ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატი ვ. ჰორტი მანილის საზონთაშორისო ტურნირის გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ 3 ქულით ლიდერობს გათამაშებას. ვ. ჰორტმა ამ დღეს იტალიელი ს. მარიოტი დაამარცხა.

მესამე-მეოთხე ადგილებზე გადაინაცვლეს არგენტინელმა მ. კინტეროსმა, რომელმაც მოუგო თანამემამულეს ო. პანოს, და ბრაზილიელმა ე. მეკინგმა. თვითეულს 2,5 ქულა აქვს.

ნახევარი ქულით ნაკლები მოგროვა შვიდმა დიდოსტატმა. ამ ჯგუფში არიან ლ. პოლუგაევსკი და ბ. სპასკი (ბან მოუგო ვ. ულმანს — გდრ), აგრეთვე რუმინელი ფ. გეორგიუ, ამერიკელები ლ. კავალეკი და უ. ბრაუნი, ვ. ულმანი და უუგოსლავიელი ლ. ლიუბოევიჩი.

ფინიშის დაძაბულობა

საქართველოს პირველობის დამთავრებამდე ბევრი აღარაფერი დარჩა, მაგრამ ლიდერთა ჯგუფში ძალზე ბუნდოვანი მდგომარეობაა.

კარგად თამაშობს ბოლო ტურებში ნორჩი მოჭადრაკე ნ. გურბელი. მეცამეტე ტურში მან ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა ნ. ხუბულურთან და ახლა ჩემპიონობისათვის იბრძვის. ამავე ტურში ა. ჩაიკოვსკაიამ მოუგო ლ. შელეგიას, მ. მამისთვალოვამ — ნ. ჩხაიძეს, ხ. გურგენიძე და რ. გეგიძე ყაიაზე შეთანხმდნენ, დანარჩენი პარტიები გადაიდო.

13 ტურის შემდეგ 9,5 ქულით პირველ ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი ნინო გურიელი — ერთადერთი მოჭადრაკე ლიდერთა ჯგუფში, რომელსაც გადადებული პარტიები არა აქვს. 8,5 ქულა და 3 გადადებული პარტია აქვს ოსტატობის კანდიდატ ციცინო კახაბრიშვილს. 7,5 ქულით და 2 გადადებული პარტიით ჯერჯერობით მესამე ადგილზეა ოსტატობის კანდიდატი ნანა ოისელიანი. ერთ გადადებულ პარტიაში მას უკეთესი პოზიცია აქვს, მეორეში — დაახლოებით თანაბარი. ყველაზე უფრო ბუნდოვანი საერთაშორისო ოსტატ ალა ჩაიკოვსკაიას მდგომარეობა. მან 7 ქულა მოაგროვა და 4 გადადებული და გამოტოვებული პარტია აქვს. ოსტატობის კანდიდატმა მზია წერეთელმა 6,5 ქულა მოაგროვა და 2 გადადებული პარტია აქვს.

გ. გამრეკელი.

სურათებზე: ნინო გურიელი (მარცხნივ) და ნანა ოისელიანი.
ნ. მღებრიშვილის ფოტო.

„გლადიატორი“ ტოვებს რინგს

მძიმე წონის პროფესიონალი მოკრივეების მსოფლიოს ექს-ჩემპიონების ჯო ფრეზერისა და ჯორჯ ფორმენის ბრძოლა, რომელიც ნიუ-იორკის გარეუბან იუნონოდეილში მიმდინარეობდა, ფორმენის გამარჯვებით დამთავრდა. მეხუთე რაუნდში მსაჯმა შეაჩერა შეხვედრა, რადგან ფრეზერს ორი ნოკდაუნის შემდეგ აღარ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა.

ორთაბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივესათვის. ფრეზერმა განაცხადა, რომ მარცხის შემთხვევაში იგი ლურსმანზე ჩამოკიდებს ხელთათმანებს და ხელს აიღებს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლის შემდგომ გეგმებზე.

ამ ბრძოლაში მას წარმატების არცთუ დიდი იმედი ჰქონდა — მეტოქე არა მარტო უფრო ახალგაზრდა, არამედ ამასთანავე ცნობილია უძლიერესი დარტყმით. ხალხი დიდი ენთუზიაზმით რიდი იქნება ბილეთებს, და მაშინ მატჩის ორგანიზატორები იძულებული გახდნენ გამოეცხადებინათ, რომ გამართავენ შოუს, რომლის დროს ორივე მოკრივე მაყურებლის წინაშე გამოვა კინოფილმ „ბენ გურის“ გლადიატორთა კოსტიუმებით. უნდა ითქვას, რომ მათ მართლაც შეგვიძლია ეუწოდოთ „XX საუკუნის გლადიატორები“.

ახლა ჯორჯ ფორმენი გახდა პროფესიონალთა შორის ახლანდელ აბსოლუტურ ჩემპიონთან მოპაძედ ალისთან მატჩის მთავარი პრეტენდენტი.

საკადესის კორ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲛᲐ-ᲑᲐᲠᲗᲚᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲡᲔᲠᲕᲝ ᲫᲐᲠᲮᲜᲐ

თერჯოლა. (საკ. კორ.). მთავრდება ახალი საკონსერვო ქარხნის მშენებლობა. ამ დღეებში სწრაფი ტემპით ამონტაჟებენ ტექნოლოგიურ ხაზს.

— წელს მხოლოდ პამიდორის ტომატს გამოვუშვებთ, — გვითხრა ახალი საწარმოს დირექტორმა გ. ყიფიანმა, — მომავალში დავამზადებთ დიდძალ ხილსა და ბოსტნეულის კონსერვებს, კომპოტს, მურაბას, ჯემს.

ᲔᲥᲘᲗᲡᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲚᲗᲘᲗ

ორჯონიკიძე. ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის სახალხო უნივერსიტეტის მორიგ მეცადინეობაზე მსმენელებმა მოისმინეს მოხსენებები — „სკკ XXV ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა“ და „ეროვნული საკითხი საბჭოთა კავშირში“.

ზ. ფცქიალაძე.

ცხინვალი. „დაეუფლე რუსულ ენას“ — ამ თემას მიეძღვნა სალამო, რომელიც სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ მოაწყო. მსმენელებმა მიიღეს პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორებმა და სტუდენტებმა.

ბ. ივერლიშვილი.

ახალციხე. კულტურის სახლში მოეწყო რაიონის მშრომელთა შეხვედრა მედიცინის მუშაკებთან.

მედიკოსები დამსწრეთ ესაუბრნენ ადამიანის ჯანმრთელობისა და პროფილაქტიკის საკითხებზე.

რ. მაისურაძე.

თელავი. ოყალთოს საშუალო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები შეხვდნენ სამამულო ომის ვეტერანებს. ომის ვეტერან თამარ ქამქაძის სახრმოლო ცხოვრების შესახებ შეკრებილთ ესაუბრა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ნ. ჯავახიშვილი.

ე. მეთოდიშვილი.

შინაარსიანად დაისვენებენ

ბიათურა. (საკ. კორ.). გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთსა და ალბანეთში ტურისტული მოგზაურობიდან დაბრუნდა მაღაროელთა ერთი ჯგუფი.

ჩვენი ქვეყნის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში უკვე დაისვენა წარმოების 400-მა მოწინავემ. შეჯიბრებაში გამარჯვებულ მშრომელებს კიდევ 1600 საგზური გაუნაწილდებათ. სამთამადნო კომბინატის დამის სანატორიუმ-პრეფილაქტორიუმში 600 კაცი ისარგებლებს.

მაღაროელთა შვილები ყურადღებით არიან გარემოსილნი. 630 მოსწავლე ზაფხულის არდადეგებს რესპუბლიკის საუკეთესო პიონერთა ბანაკებში გაატარებს, ხოლო საბავშვო ბაღის აღსაზრდელები შავი ზღვის სანაპიროს და ბორჯომის თვალწარმტაც ხეობას ეწვევიან.

ო. ნიქაბაძე.

ᲐᲚᲐᲖᲜᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ

□

ᲓᲘᲓᲔᲑᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲜᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ“

სიღნაღი. 15 ივნისი. (საქინფორმის კორ.). გიორგი ლეონიძის ნოველების მიხედვით კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოლექტივი იღებს მხატვრულ ფილმს „ნატვრის ხეს“. გადაღება ალაზნის ველის თვალწარმტაც სანახებსა და ქიზიყის სოფლებში მიმდინარეობს.

ფილმს იღებს კინორეჟისორი თ. აბულაძე, სცენარის ავტორები არიან მწერალი რ. ინანიშვილი და თ. აბულაძე, ოპერატორია ლ. ახვლედიანი, მხატვარი რ. მირზაშვილი.

როლებს ასრულებენ ს. თაყაიშვილი, კ. დაუშვილი, ე. მანჯგალაძე, რ. ჩხეიკვაძე, ო. მელვინეთუხუცესი, გ. გეგეჭკორი, ს. ჭეიშვილი, კ. კვესაძე, გ. ბერეკაშვილი, ბ. წიფურია, ჯ. ღაღანიძე, თ. ბურბუთაშვილი და სხვები.

მთავარი როლების შესრულება მიანდეს ახალგაზრდა არაპროფესიონალ მსახიობებს — თბილისს მუსიკალური აფეწლებას მოსწავლეს ლ. ქავეარაძეს, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს ს. ჯაკელიანსა და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს ზ. კოლელიშვილს.

გადაღებმა ჯგუფმა მეიდრო ურთიერთობა დაამყარა საწარმოების. მუშა-მოსამსახურეებთან, რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებთან. ისინი ხშირად აწყობენ შემოქმედებითს შეხვედრებს.

რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგან